

## საბა

### საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 9  
სექტემბერი  
2007

წმ. მარიამის ზეცადაღევანება  
მიხეილ სურმავას ხელდასხმა  
წმ. ანტონი კლარეტის განსჯანი  
წელიწადი სინოდის შემდეგ  
პეტრე იბერი და არეოპაგიტიკა

სულიერება

#### თხუთმეტი წელი წმიდა მღვენთა წინაშე წმიდა ანტონი კლარეტის ფიქრები

მამა ანტონი მარია კლარეტი (1807-1870), შემდგომში კუბის მთავარებისკოპოსმა, დააარსა მარიამის უბისო გულის ძეთა – კლარეტინების – მისითხერული საკრებულო.

უფლის სახელით დაწერილ ტექსტში წმ. ანტონი მარია კლარეტი იყენებს მიმართვას პირველი პირისაგან, რათა ყოველ ადამიანს დაეხმაროს იმის განცდაში, რომ იქნო, რომელიც ეკარისტია, სწორედ მას მიმართავს.

\* \* \*

არ არის აუცილებელი, ბევრი იცოდე, რათა მე მომწონდე. მთავარია, გიყვარდე. მესაუბრე უბრალოდ, ისე, თითქოს შენს საუკეთესო მეგობარს ესაუბრები.

გეურს, მადლი მთხოვთ მისთვის, ვინც შენთვის ძვირფასია?

მითხარი, რა ჰქეია იმ ადამიანს, და წარმოთქვი შენი თხოვნა. მითხარი, რა შემიძლია მისთვის გავაკეთო. ითხოვე ბევრი! ითხოვე მორიდების გარეშე-მელაპარაკე უბრალოდ და პირდაპირ. ითხოვე საწყალთათვის, ვისთვისაც ნუგეშისცემა გსურს, ავადმყოფთა და ტანჯულთათვის, ვის დასახმარებლადაც ისწრაფვი, გზადაბნეულთათვის, რომელთა დაბრუნებაც ჭეშმარიტ გზაზე ასე ძლიერ გწადია. მითხარი თითოეულ მათგანზე თუნდაც მხოლოდ ერთი სიტყვა.

შენ თვითონაც ხომ გჭირდება მადლი?

იყავი გულწრფელი, ადიარე, რომ შენ ზოგჯერ ამაყი, თავკერძა, მერყევი, დაუდევარი ხარ... და მთხოვე, დაგეხმარო ამ ყველაფერთან გამკლავებაში, მე ვხედავ ძალისხმევას, რომელსაც მიმართავ ნაკლთაგან თავის დასაღწევად, ვხედავ შენს გულწრფელ სურვილს, იყო ჩემთან, და მე არ მიგატოვებ შენ. ნუ გრცხევნია! არის მრავალი წმიდანი, ვინც ზუსტად ისეთი შეცდომები დაუშვა, როგორიც შენ, მაგრამ ისინი მორჩილად ითხოვდნენ... და თანდათან თავი დააღწიეს საკუთარ ნაკლოვანებებს. უყოფმანოდ ითხოვე მადლი ჯანმრთელობისა, საქმეთა წარმატებული დაწყებისა და დამთავრებისა. მე მოგცემ ყველაფერს, რაც დაგეხმარება, უფრო სრულყოფილი გახდე სიწმიდეში. და მსურს, რომ მე მთხოვო ყველაფერი ის, რაც გჭირდება. რა შემიძლია შენთვის გავაკეთო? რომ იცოდე, როგორ მინდა, დაგეხმარო!

## მიამბე შენი გეგმების შესახებ

რაზე ფიქრობ? რისკენ ისწრაფი? რა გსურს? რა შემიძლია გავაკეთო შენი ძმისთვის? დისთვის? მეგობრებისთვის? ოჯახისთვის? კოლეგებისთვის? მხარში ამომიდექი, გამოვლინე მოწმობა ჩემს შესახებ და სხვები იხილავენ ჩემს დიდებას. მაგალითად, გააკეთე რამე კარგი მეგობრებისათვის, ვინც ძალიან გიყვარს, მაგრამ რომლებიც ისე ცხოვრობენ, რომ მე არ მიცნობენ. მითხარი, რითაა მოცული შენი ფიქრები. რა გსურს ასე ძალიან? რას აკეთებ, რათა ამ მიზანს მიაღწიო? თუ რაიმე არ გამოგდის, გამიზიარე, და მე მოგეხმარები სირთულეთა გადალახვაში.

დამწუხერებული ხარ ან ცუდმა განწყობამ მოგიცვა?

დაწვრილებით მომიუევი ყველაფერი იმის შესახებ, რაც გაშფოთებს. რატომ ხარ ასეთი სევდიანი? ვინ გაგანაწყენა? გამიზიარე შენი დარდი. მე ნუგეშს გცემ და დაგლოცავ. მე გიჩვენებ სიყვარულისა და პატიების გზას. იქნებ გეშინია? გრძნობ სულიერ გადაღლას, მუდმივ მოწყენილობას, რომელიც გულს გტკენს და გიღრღნის? ენდე განჭვრეტის ჩემეულ უნარს! მე ყოველთვის შენს გვერდით ვარ, ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის და ერთი წამითაც კი არ მიგატოვებ. შენ გრძნობ, რომ ადამიანები, ვისაც ადრე უყვარდი, უეცრად დაგშორდნენ და მარტო დარჩი? ილოცე და მარტო აღარ იქნები!

გამიზიარე სიხარული!

გამიზიარე შენი სიხარული. მე შენი მეგობარი და მამა ვარ! მიამბე იმის შესახებ, რამაც გული დაგიმშვიდა ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, იმის შესახებ, რამაც გაგამხიარულა. გამიზიარე ის, რამაც გაგახარა: კარგი ახალი ამბავი, წერილი მეგობრისაგან; იქნებ სირთულე გადალახე, გაუმკლავდი მდგომარეობას, რომელიც გამოუვალი ჩანდა? მეც გავიხარებ შენთან ერთად და სიხარულს მოგიმრავლებ.

პირობა მომეცი, რომ მეტს აღარ სცოდავ

მე შენი გულის სიღრმეში ვკითხულობ. ადამიანთა შეყვანა შეცდომაში ადვილია, ღმრთისა კი – შეუძლებელი! ჩემს წინაშე გულწრფელი იყავი. მტკიცედ გადაწყვიტე აღარ დაჰყვე ცდუნებებს? უარი თქვა ცუდ ჩვევაზე? არ წაიკითხო წიგნები და გურნალები, რომლებიც აღვივებენ შენს წარმოსახვას, არ გქონდეს ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც შენი სულის სიმშვიდეს არღვევს? გადაწყვიტე, რომ მოთმინებითა და სიყვარულით მოეპყრო არაკეთილისმყოფელებს? მე ვხედავ შენს გულწრფელ სურვილს და მე დაგეხმარები შენ. დაუბრუნდი შენს ჩვეულებრივ საქმიანობას: სამსახურს, სწავლას, ოჯახს. მაგრამ ნუ დაივიწყებ იმ თხეობებ წუთს, რომელიც ერთად გავატარეთ. დაიცავი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დუმილი, თავმდაბლობა, შინაგანი გულისყური, მშვიდობა და სიყვარული გულში.

გიყვარდეს დუდაჩემი, რომელიც დუდა შენიცაა

და ისევ მომეახლე გულით, რომელიც სავსეა ჩემთვის თავდადებული კიდევ უფრო დიდი სიყვარულით. და მაშინ ყოველდღიურად ისევ პოვებ ჩემს გულში სიყვარულს, მშვიდობას, მადლსა და ნუგეშს.

ტექსტი მოწოდებულია დმრთისმშობლის მოსკოვის კათოლიკური ორქიეპარქიიდან  
თარგმნა მარიკა ნანობაშვილმა

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## წმიდა ქალწულის მარიამის ზეცად აღყვანების დღესასწაული

15 აგვისტო – უწმიდესი ქალწული მარიამის ზეცად აღყვანების დღე –  
თბილისის საკათედრო ტაძრის მრევლისათვის ორმაგად საზეიმო აღმოჩნდა.

სადღესასწაულო განწყობა სუფევდა ტაძარში, თეთრი და ვარდისფერი  
ყვავილები ამშვენებდა საკურთხეველს. იმ დღეს საკრებულო თავისი ტაძრის  
დღესასწაულს აღნიშნავდა...

სიხარულით იყო აღსავსე ახალგაზრდათა გულები, რომლებიც ზაფხულის  
ტრადიციულ შეხვედრაზე წეროვანიდან თბილის ჩამოსულიყვნენ, რათა ერთად  
ეზეიმათ ეს დიდებული დღე...

იმ დღეს საქართველოს კათოლიკები მოუთმენლად ელოდნენ კიდევ ერთ  
სასიხარული მოვლენას ეკლესიის ცხოვრებაში: მიხეილ სურმავას, ქართველი  
ახალგაზრდის, დიაკვნად ხელდასხმას...

წმიდა წირვას უძღვებოდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა  
სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. ცერემონიას  
ესწრებოდა საქართველოში წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს  
კლავდიო გუჯეროტის წარმომადგენელი, მონსინიორ როლანდას მაკრიცხასი;  
საქართველოში მოღვაწე ლათინური წესის მდვდლები: გაბრიელე ბრაგანტინი,  
ანდრია გრაჩეკი, ადამ ოხალი, კარლო დი სტეფანო, ივან მარტინი, ვიტოლდ  
შულჩინსკი, ზურაბ კაკაჩიშვილი, აკაკი ჭალიძე, ვლადიმირ აქსენტიევი, პავლე  
დილი, მაჩევი მამაი, ზიგმუნდ ნეჯვეჯი; ასევე, საქართველოში მოღვაწე  
სხვადასხვა კათოლიკური ორდენის დები.

„დღეს საკათედრო ტაძარში შეკრებილი ხალხი მართლაც რომ მოზეიმე  
ხალხია! – მიმართა ეპისკოპოსმა დამსწრეთ, – საკრებულო დღეს თავისი  
მფარველი წმიდანის დღესასწაულს აღნიშნავს. დღეს მარიამის ცად აღყვანების  
დღესასწაულია და სწორედ ამ მოვლენისადმია მიძღვნილი ეს საკათედრო  
ტაძარი. სულითა და სხეულით ცად აღყვანილი მარიამი ჩვენი სამომავლო  
დანიშნულების ხატებაა. მარიამს შეგვიძლია მივაწოდოთ ჩვენი სიცოცხლე,  
დარწმუნებულებმა, რომ ზეცაში მასთან, ანგელოზებთან და წმიდანებთან ერთად  
ვიცხოვრებოთ ჩვენი მოყვარული მამა ღმერთის სიხარულში. ჩვენი სამშობლო  
ზეცაშია, დარწმუნებულნი ვართ ამაში? მარიამს დღეს ელისაბედის სიტყვებით  
მიგმართავთ: “კურთხეული ხარ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის  
ნაყოფი” (ლუკ. 1:42). გვსურს, ეს მსახურება მარიამის სადიდებელ საგალობლად  
იქცეს...“

წმიდა წირვის შესავალი ნაწილის დასრულების შემდეგ, მამა ზურაბ  
კაკაჩიშვილმა ეპისკოპოსს წარუდგინა მიხეილ სურმავა და მისი დიაკვნად  
ხელდასხმა სთხოვა.

მეუფემ კათოლიკე ეკლესიის სახელით გამოხატა სიხარული და  
კმაყოფილება მიხეილის გადაწყვეტილების გამო, რომ მან იქსოს მოხმობას  
უპასუხა: „დიაკვანი საკრებულოში მიევლინება და არა საკრებულოს მიერ. შენ,  
მიშა, ეპისკოპოსი მიგავლენს. მხოლოდ ეპისკოპოსს აკისრია რთული ამოცანა,  
უთხრას ადამიანს: “როგორც მე მომავლინა მამამ, ისე მე მიგავლენ შენ” (იოან. 20: 21), – მიმართა მეუფემ მიხეილს, – ამგვარად გასაგებია, რომ დიაკვნობა  
მოციქულთა მემკვიდრის სამსახურებო მალაუფლების პირველი გაზიარებაა;  
მისი განხორციელება ეპისკოპოსთან სრული თანაზიარებითა და მის

გადაწყვეტილებათა და მითითებათა გულითადი პატივისცემით უნდა მოხდეს. ეპისკოპოსიც ხომ დიაკვანია და მისი დიაკენობა ახლა გამოიხატება აგრეთვე შენი მეშვეობითაც, შენი მოქმედების, სიყვარულის შენი უნარის, შენს მმათა და დათათვის მუხლმოდრეკით ფეხთბანვით შენი მსახურების მეშვეობითაც...

არსებობს თვისება, ძვირფასო მიშა, რომელიც მსურს, განსაკუთრებით ახასიათებდეს შენს პიროვნებას. კურთხევის ლოცვაში შევევედრები ზეციურ მამას, რათა შენ თავმდაბალი იყო შენს მსახურებაში. ამ სათნოების გარეშე მსახურება შეუძლებელია. ვინც მსახურობს, მას სხვა ადამიანის განდიდება უნდა სურდეს და არა საკუთარი თავისა. ვინც მსახურობს, თავისი მისამართით ბევრ ქებას არ უნდა ელოდეს. დღეს შენ ბევრი შეგაქებს, მაგრამ შემდეგ ისწავლე, იყო ერთგული მაშინაც, როცა არავინ გატყის, რომ ყოჩალი ხარ, როდესაც მარტოდ იგრძნობ თავს, როდესაც მხოლოდ იესოს ეტყვი: ამას მხოლოდ შენთვის ვაკეთებ, მხოლოდ შენი სიყვარულისთვის!

თავმდაბლობა! იყავ თავმდაბალი. იგრძენი, რომ შენ მხოლოდ სუსტი საშუალება ხარ უფლის ხელში. ეს თავმდაბლობა იქნება შენი დიაკვნობის სიდიადე!

მაგრამ რას ნიშნავს დიაკვნობა? წმ. პავლეს კორინთელთა მიმართ მეორე წერილში ერთი წინადადებაა, რომელსაც ჩვენთვის გზის ჩვენება შეუძლია. ის ამბობს: “ხოლო ჩვენ თქვენი მონები ვართ იესოსთვის” (2კორ. 4:5). ვფიქრობ, არ არსებობს დიაკვნობის ამაზე უფრო მარტივი და შთამბეჭდავი განსაზღვრება: ეკლესიის მსახურება ქრისტეს მიზეზით, ქრისტეს სიყვარულით... როგორც ხედავთ, ჩვენი უფლისა და მასწავლებლის თვალსაწიერიდან მსახურება, ანუ დიაკვნობა სიცოცხლის გაწირვის, ანუ საკუთარი თავის, საკუთარ ძალთა, იდეათა, საკუთარი დროის გაღების სინონიმია. მაშასადამე, ეს ძალიან სერიოზული ვალდებულებაა და მხოლოდ დმრთის შეწევნით შეგვიძლია ვიქონიოთ მისი სათანადოდ შესრულების იმედი”.

შემდეგ მეუფემ მორწმუნე მრევლს თხოვნით მიმართა, რათა ელოცათ მიხეილისათვის: „შესთხოვთ უფალს, აღავსოს ის სული წმიდით, შესთხოვთ მარიამს, იყოს მისი მოსიყვარულე და მფარველი დედა. თქვენ კი, ძვირფასო ახალგაზრდებო, ეძიეთ თქვენი ადგილი ეკლესიაში იესოს მსახურებისთვის. დღეს ყოველმა თვენთაგანმა უნდა ჰყითხოს საკუთარ თავს: თუკი უფალი მეც მომთხოვს მთელი სიცოცხლის მიძღვნას ეკლესიის საკეთილდღეოდ, მზად ვარ, გავვე მას? ვინმეს ექნება სურვილი, შევიდეს სემინარიაში, ჩადგეს ეკლესიის სამსახურში იესოს სიყვარულისთვის?”..

დაბოლოს, ეპისკოპოსმა შეახსენა მიხეილს, რომ ის მადლიერი უნდა იყოს უფლისა ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა: „შენს მეხსიერებაში ახლა მრავალი სახე გაიღვებს, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა შენს მშობლებს ეკუთვნის. მეც ვეუბნები მათ მადლობას საქართველოს ყველა მორწმუნის სახელით, რადგანაც დღეს ისინი თავიანთ ერთადერთ შვილს სწირავენ ეკლესიას“.

სიყვარულითა და სითბოთი სავსე მზერა მიაპყრო ეპისკოპოსმა ტაძრის მარჯვენა მხარეს მოკრძალებით მსხდომ მიშას მშობლებს და საოცარი რწმენით მიმართა მათ: „ძვირფასებო, ვიცი, რა ძვირად დაგიჯდათ თქვენი თანხმობა, ვიცი, რაოდენ უცნაური გეჩვენათ თქვენი შვილის გადაწყვეტილება, მაგრამ დარწმუნებულნი იყავით, რომ უფალი ასმაგად უზღავს მას, ვინც სიხარულით გასცემს. დარწმუნებულნი იყავით, რომ არ კარგავთ თქვენს შვილს, პირიქით. და გთხოვთ, კვლავაც იყოთ მისი ცხოვრების თანამგზავრნი თქვენი ლოცვებით“...

ეპისკოპოსის ქადაგებას მოჰყვება ადოქმა დმრთისა და ხალხის წინაშე პირნათელი სამსახურისა...

„წმიდაო მარიამ, წმიდაო დმრთისმშობელო, შეგვიწყალე ჩვენ, – ლოცულობს მუხლმოყრილი მრევლი და მომნანიე, საკუთხევლის წინ იატაკზე

განრთხმული მიშა და საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის „ალელუიას“ ყველა წმიდათა მოხმობაზე პასუხობს: „მეოს მეუვან ჩვენ“...

ლიცლიცებები სანთლები, იდუმალი სხივი ეფინება ტაძარს, ცრემლი კიაფობს მიხეილის მდუმარე მშობელთა თვალებზე...

ხელი დასხა ეპისკოპოსმა მიხეილს თავზე და ლმრთისმსახურთა ოჯახთან შეერთება მიულოცა.

წირვის დასასრულს მრავალმა მიშას დიაკვნად ხელდასხმა. იყო მრავალი კეთილი სურვილი, უამრავი ლამაზი ყვავილი და საჩუქრი...

მიხეილ სურმავამ თავის სამადლობელო სიტყვაში აღნიშნა: „ძვირფასო მეუფე ჯუზეპე, ღრმადპატივცემულო მონსინიორ როლანდას, პატივცემულო მამებო, ბერ-მონაზვნებო, საყვარელო ძმებო სემინარისტებო, ახალგაზრდებო და საღმრთო ერო! დიდად მოხარული ვარ, რომ ღმრთისა და ეკლესის ნებით მე გავხდი მდვდელმსახური – დიაკონი. ეს მშვენიერი მომენტია ჩემს ცხოვრებაში... ეს მდვდელმსახურების პირველი საფეხურია, რასაც წინ უსწრებდა დიდი მომზადება, სწავლა, განცდები, ძალისხმევა, კრიზისები. ვცდილობდი მეცხოვრა სიყვარულით, ღმრთის უსაზღვრო სიყვარულით ჩემდამი. დღეს ჩემი საუბრით თავს არ შეგაწყენთ და, უბრალოდ, პატარა ესტს გთავაზობთ თქვენ, აქ მყოფთ. ხელთ მიპყრია ვარდების თაიგული. ყვავილი – ეს სიცოცხლის ნიშანია.

პირველ ვარდს ვუძღვნი ღმერთს: ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, მადლობას გიძღვნი იმისათვის, სწორედ ამ დროს რომ მომიხმობ, განმამტკიცებ და მასწავლი ჭეშმარიტ სიყვარულს შენი მხოლოდშობილი ძისა და ჩვენი უფალი იქსო ქრისტეს მიერ.

მეორე ვარდს ვუძღვნი ჩემს მშობლებს: მადლობას გიძღვნი უფალო ჩემი მშობლებისათვის, იმისათვის, რომ ისინი არიან მაგალითი ცოლ-ქმრული ცხოვრებისა, რომ ისინი ბოლომდე ეძლევიან ჩემთვის, რათა მე კარგი ადამიანი ვიყო. გევედრები, უფალო, აკურთხე ისინი, აღავსე სული წმიდით, მიანიჭე მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული და მოთმინება.

მესამე ვარდს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო მეუფევ და თქვენი სახით ყველა მდვდელს. მადლობას გიძღვნი შენ, მამაო ზეციერო ჩვენი ეპისკოპოსისათვის და საქართველოს მიწაზე მოღვაწე ყველა მდვდლისათვის. მადლობას გიძღვნი მათი ჭეშმარიტი მაგალითისათვის, რომელიც გამოიხატება კეთილი მწყემსის, მოსიყვარულე მამის და მზრუნველი მმის სახი. გთხოვ მიანიჭე მათ ძალა და თავდაჯერებულობა საღმრთო ერისადმი მსახურებაში.

მეორე ვარდს ვათავსებ ჯვარცმასთან: მადლობას გიძღვნი მდვდელთა და მონაზონთათვის, რომელთაც დაასრულეს თავიანთი მიწიერი ცხოვრება... დღევანდელ დღეს კი განსაკუთრებით შეგთხოვ ჩემი პირველი სულიერი მამისათვის პავლე შჩეპანეკისათვის და მონაზონ მარიასათვის, რომლებიც მე ძალიან დამეხმარენ – ეს იქნებოდა ლოცვა, მორალური მხარდაჭერა, თუ უბრალოდ ლამაზი სიტყვები. ასევე, შეგთხოვ მამა სიმონისათვის. ისინი ემსახურებოდნენ და უყვარდათ შენი სახელით უფალო...

მესამე ვარდს ვდებ ტაძერნაკულუმის წინაშე: გვედრები მამაო მიწისა და ზეცისაო, საღმრთო ერისათვის, რომლის მიმართაც ვიწყებ ჩემს საღიაკვნო მდვდელმსახურებას, და რომელსაც უნდა ვუჩვენო შენი თავი ჩემით. დაუ, შენი ნება იყოს, თუ სად და ვის ვემსახურო. დაუ, ყველამ იცოდეს რომ მდვდელმსახურნი საჭიროებენ საღმრთო ერის ლოცვას თავად მათთვის.”

დღესასწაულმა მალე საზეიმო სუფრაზე გადაინაცვლა, სადაც ისმოდა კეთილი სურვილები, მხიარული ხმები და კვლავ მრავალი, მრავალი მილოცვა.

კერიკო ნოზაძე

ერთი წლის გადასახედიდან

მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოჯანმრთელებულ მამა ადამთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა ახალი მდგდელი მამა მაჩეი მამა. მრევლის რამდენიმე წელს გვეცნო მისი სახე, მაგრამ განსაკუთრებული ყუირადღება არ გაგვიმახვიდებია, გვეგონა, ვიდაცას მივამსგვასეთ. შემდგომში გაირკვა, რომ მას 1999 წელს სასულიერო სემინარია „ლედერმარის ატერ“ დაუმთავრებია მამა ზურაბთან და მამა არტურთან ერთად.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიიდან მამა არტურისა და მამა ზურაბის ხელდასხმაზე 30 კაციანი მომლოცველთა ჯგუფი გაემგზავრა (ამ დროს პოლონეთში პაპიც ჩამოდიოდა). იქ ბევრი ერთობლივი ზეიმი, შეხვედრა, წირვა და ბანკეტი გვქონდა. ამიტომაც გვეცნო ახალი მოძღვრის სახე...

მამა მამაი დაიბადა ვარშავაში, სემინარიის დამთავრების შემდეგ, სამი წელი ჰქონდა სხვადასხვა მისიები: მსახურობდა პოლონეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბელორუსიაში ქ. გომელში ეხმარებოდა მდგდელს. შვიდი წელი იმსახურა ვარშავის ერთ-ერთ ეპარქიაში ვიკარიუსად. შემდეგ, ჩვენი ეპისკოპოსისა და ვარშავის მთავარეპისკოპოსის მოლაპარაკებების შედეგად გამოემგზავრა საქართველოში, რათა დახმარებოდა მდგდლებსა და ნეოკატეუმენურ საკრებულოებს.

მამა მაჩეი საქართველოში ჩამოვლის დღიდანვე ჩაება საეკლესიო ცხოვრებაში. განსაკუთრებით აქტიურია იგი ახალგაზრდებთან ურთიერთობაში. მამა მაჩეიმ წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში მსახურების დაწყებისთანავე გააკეთა განცხადება მინისტრანტებად ახალი წევრების მიღების შესახებ. მას მაშინვე გამოეხმაურნენ ყმაწვილები და შეიქმნა მოზარდების ახალი ჯგუფი. ის ექვსი თვის განმავლობაში, მიშა სურმავასთან ერთად, ამზადებდა მომავალ მინისტრანტებს. 11-დან 14 იანვრამდე მისივე ინიციატივით მინისტრანტების ჯგუფმა დაისვენა კახეთის სოფელ ხიზაბავრაში. ისინი ეკლესიაში ცხოვრობდნენ და დიდ დროს უთმობდნენ სულიერ ვარჯიშებსა და მათთვის სასარგებლო საქმეს. ეს დღეები დაუკიტყარი იქნება მათთვის. ლოცვას ისინი აქტიურად უხამებდნენ ექსკურსიებს და ბევრი ისტორიული ძეგლი მოინახულეს. და აი, 18 თებერვალს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში 7 კანდიდატი საზეიმოდ მიიღეს მინისტრანტთა საკრებულოში.

1-8 ივლისს მამა მაჩეი ბავშვებთან ერთად იმყოფებოდა ორპირის საზაფხულო სკოლაში. ასევე, მისივე ინიციატივით, ამავე თვეში ეკლესიის საკრებულოს ახალგაზრდების ჯგუფმა დაისვენა ბათუმში, სადაც ცხოვრობდნენ ბათუმის საეპარქიო სახლში. მოზარდები იქიდანაც აღფრთოვანებული და ემოციებით აღსავსენი დაბრუნდნენ.

სულ ახლახანს კი ნეოკატეუმენური საკრებულოების ბავშვები კვლავ სოფელ ხიზაბავრას ეწვივნენ. ცხოვრობდნენ ეკლესიაში და კარვებში. პროგრამა აქაც საინტერესო და დატვირთული იყო: ყოველდღიური წირვა-ლოცვა, მდინარეში ბანაობა, ჩანჩქერზე ლაშქრობა და თითქმის მთელი კახეთის ისტორიული ძეგლების გაცნობა.

რამდენიმე თვის წინ მამა მაჩეის ინიციატივით, ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა დაიწყო საბავშვო რელიგიური „ბიულეტინის“ გამოშვება (სახელი ჯერ შეურჩიეს) ქართულ და რუსულ ენებზე. მის შედგენაში უშუალოდ ბავშვები მონაწილეობენ. გამოდის ორ კვირაში ერთხელ, ჯერ გამოსულია სულ 9 ნომერი. ბავშვებს მოსწონთ ეს წამოწყება და თანდათან ებმებიან მის საქმიანობაში. ბიულეტინში მოიყვანილია სახარებისეული ეპიზოდები, კროსვორდი და შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინები. ის საინტერესო წასაკითხია და პატარებიც დიდი მონდომებით ეწაფებიან მას.

მამა მაჩეის საქმიანობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება, იგი თვეში ორჯერ, ხუთშაბათობით მიიჩქარის კახეთის კათოლიკურ სოფლებში წმ. წირვის აღსავლენად, ავადმყოფების მოსანახულებლად და გასამხნევებლად.

მრევლმა მამა მაჩეი ძალიან სწრაფად შეიყვარა, რადგანაც მასში ჰქონდა მოძღვარი დაინახა, რომელიც მთელი გულით იზიარებს მათ ტკივილსა და სიხარულს. როდესაც მამა მაჩეის რამდენიმე თვის წინ პოლონეთიდან მშობლები ესტუმრნებ, კახეთში მათ დიდი სიხარულით შეხვდნენ და მადლობა უთხრეს სანიმუშო შვილის გაზრდისათვის, ზოგმა, ეს ორივე ცერის აწევით აღნიშნა, რადგანაც ენის ბარიერი უშლიდათ ხელს, რათა გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი გრძნობები.

ჩვენდა სასიხარულოდ, მამა მაჩეი დიდი მონდომებით სწავლობს ქართულს და, აღსანიშნავია, რომ დიდი მიღწევებიც აქვს. მას ძალიან მოსწონს საქართველო და აინტერესებს მისი ისტორია. თავად ბევრი ისტორიული ძეგლი მოინახულა და მშობლებსაც გააცნო ზოგიერთი.

გვჯერა, რომ მისი სახით საქართველოს კიდევ ერთი ჰქონდა მდგდელი შეემატა.

ნადია ჩიტაძე

## დღესასწაული უდის მთაში

უდის მთა (საზაფხულო საძოვრები) ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მდებარეობს და სოფლიდან 20 კმ-ით არის დაშორებული. ყოველ ზაფხულს – ივნისის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთაში დასასვენებლად ადის, თან მიჰყავს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ფრინველი... იქ ყუათიანი საძოვრები და საოცრად ჯანსაღი ჰავაა.

დამსვენებლებს შორის მრავალი კათოლიკეა, მაგრამ ისინი აქაც არ არიან უყურადღებოდ მიტოვებულნი. უდის მთაში თავდაპირველად ვინმე მდგდელ გოგოლაშვილის მიერ სამოცველო სახლი იყო ნაკურთხი, ახლა მხოლოდ ნანგრევებიღაა. 2002 წელს სოფლის მოსახლეობამ ააგო ხის სამლოცველო სახლი, რომელიც ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აკურთხა თოვლიანი ღმრთისმშობლის სახელზე, 2004 წლის 5 აგვისტოს და ღმრთისმშობლის ხატიც უსახსოვრა. მას შემდეგ ყოველი წლის 5 აგვისტოს ტრადიციულად ტარდება სადღესასწაულო წირვა. წელს ეს დღესასწაული ფერისცვალებას – 6 აგვისტოს აღინიშნა.

როდესაც უდის საზაფხულო საძოვრებზე მყოფ კათოლიკებზე საუბრობ, შეუძლებელია დაივიწყო მამა იუვი შიმეროვსკის წვლილი და დამსახურება. მან ძალიანება არ დაიშურა, რათა აქ, ცასთან ახლოს მყოფ, მაგრამ დასახლებული პუნქტებიდან საკმაოდ დაშორებულ, მნელადმისასვლელ ადგილზე ქრისტიანებს ღმრთის მადლი არ მოპკლებოდათ. სწორედ მისი დიდი ძალისხმევის წყალობით აქ ყოველდღიურად ტარდება წირვა-ლოცვა, განსაკუთრებით ბავშვებთან კი – დილისა და საღამოს ლოცვები, ყოველდღიურად ლოცულობები სავარდის ლოცვას, ტარდება კატეხეზები, მრავლი მორწმუნე სწორედ აქ იღებს პირველ ზიარებას, იღებს ქორწინებისა და ნათლობის საიდუმლოებს. წელს უკვე ოთხი ქრისტიანი ეზიარა პირველად...

მთაში, სამლოცველოს მახლობლად, დილიდანვე ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. ყველა ელოდა სტუმრების გამოჩენას, განსაკუთრებით კი ბავშვები დელავდნენ. სტუმრებიც მაღლე მოვიდნენ: მეუფე ჯუზეპე პაზოტო, მამა მაჩეი მამაი, მამა აკაკი ჭელიძე, მამა ზიგმუნდ ნეკვეჯი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი. ჩვენი სტუმარი იყო მამა პეტრიკი – ქალაქ კრაკოვის სასულიერო სემინარიის ფილოსოფიის ლექტორი. აქვე იყვნენ: ქუთაისიდან მონაზვნები ანა მარია და ერზეფინა, მმა ირაკლი – კამილიელთა ოჯახიდან, სხვადასხვა

საკრებულოებიდანაც გვეწვივნენ ძვირფასი სტუმრები, კერძოდ, არალიდან, კოტაბიდან, ზარზმიდან და სხვ.

წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა, რომელმაც გულშიჩამწვდომი და საინტერესო ქადაგება წარმოთქვა, მან თქვა, რომ ყოველი ბავშვის სახე გაბრწყინებულია იმიტომ, რომ მის გულში დმერთი სუფეს, ისევე როგორც ფერისცვალებისას იესოს სახე იყო ბრწყინვალებით მოსილი.

წირვის შემდეგ ბავშვებმა საზეიმო კონცერტი გამართეს, რომელიც პედაგოგმა ლიანა აღმაშვილმა მოამზადა. ბავშვები საინტერესოდ ასრულებდნენ საგალობლებს, სიმღერებს, ცეკვებს. მათ ასევე წარმოადგინეს სცენა, რომელიც ფერისცვალებას მიუძღვნეს.

ზეიმი მოკრძალებული სუფრით დასრულდა.

## ხატია აღოდაშვილი

კათოლიკე ეპლესია მსოფლიოში

### უკრაინის კათოლიკეთა ცხოვრებიდან

**კიევი:** სტატისტიკის თანახმად, კიევში 1895 წელს ცხოვრობდა დაახლოებით 33 ათასი ლათინური წესის კათოლიკე, რაც შეადგენდა ქალაქის მოსახლეობის 13%-ზე მეტს. იმდროინდელი კიევის მოსახლეობა არ აღემატებოდა 250 ათასს. მათ შორის რომის კათოლიკები კიევში აღმსარებლობის რაოდენობით მეორე ადგილზე იყვნენ (მართლმადიდებლების შემდეგ). იმჯამინდელი რელიგიური ცხოვრების ერთადერთი ცენტრი მორწმუნებოდა დიდი ნაწილისთვის აიგო 1895 წელს წმ. ალექსანდრეს ტაძარი. ეს ერთადერთი კათოლიკური ტაძარი კიევისთვის არ იყო საკმარისი. და ამასთან დაკავშირებით გაჩნდა მოთხოვნა ახალი სიწმიდის ასაგებად. როდესაც ამის თაობაზე ობერ-პროკურორის კ-პობედონოსცევის ნებართვა მიიღეს, მორწმუნებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის რადას (საბჭოს), რათა გამოეყოთ მოედანი ახალი ტაძრის ასაგებად. და რამდენადაც 1895 წელს კიევში იმყოფებოდა მეფე ნიკოლოზ II, გადაწყდა, რომ მეორე ტაძარი აგებულიყო წმ. ნიკოლოზის სახელზე.

1898 წლის 8 აგვისტოს, მიწაზე, რომელიც უკვე იყო საკრებულოს საკუთრება, ლუცა-უიტომირის კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი საზეიმოდ აკურთხებს ახალი ტაძრის ქვას. გამოცხადდა კონკურსი ტაძრის პროექტზე. კონკურსმა წარმატებით ჩაიარა. 35 პროექტიდან აირჩიეს სამი, რომელთაგან კომიტეტმა ამოარჩია მეტ-ნაკლებად კიევისათვის შესაფერისი - სტუდენტ ს. გ. ვოლოვსკის საკონკურსო პროექტი. ამ პროექტის საფუძველზე ცნობილმა კიეველმა არქიტექტორმა ვლადისლავ გოროდეცკიმ, სამუშაოს ხელმძღვანელად მოწვეულმა, შეიმუშავა პროექტი, რომელიც დაამტკიცა ხელისუფლებამ. დაპროექტება და მშენებლობა ხორციელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს წევრთა მიერ გადებული თანხით.

ტაძრის საზეიმო კურთხევა მოხდა 1909 წლის 6 დეკემბერს, დღესასწაულს ესწრებოდნენ: ლუცა-უიტომირის ეპარქიის დამხმარე ეპისკოპოსი ა. კარასი და გენერალ-გუბერნატორი ფ. ტრუბოვი. კიევში წმ. ნიკოლოზის ტაძრის პირველი წინამდღვარი გახლდათ მამა იოსეფ უმიგრადსკი.

წმ. ნიკოლოზის ტაძრის ნაგებობა არქიტექტურული შედევრია და საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის გვერდით აიგო მდვდელომსახურთა სახლი, რომელიც ამ წმიდა ადგილზე მსახურებდნენ. ტაძარი, როგორც საღმრთისმსახურო ნაგებობა, ფუნქციონირებდა, სავარაუდოდ, 1933-1936 წლამდე.

ტაძარი დაიხურა 1933-1936 წლებში, მდგდლები ანტისაბჭოურ ქმედებაში დაადანაშაულეს. ამ დროიდან ეკლესის შენობიდან გააძევეს მისი კანონიერი მფლობელები – მორწმუნები. ეკლესია ბარბაროსულად გაძარცვეს, ხოლო სასულიერო პირები და საკრებულოს წევრები რეპრესირებულნი იყვნენ.

1941 წელს წმ. ნიკოლოზის ტაძარში განათავსეს სხვადასხვა ორგანიზაციის სათავსოები. ომის დროს 1943 წ. ტაძრის ნაგებობა საარტილერიო სროლებით დაზიანდა, რამაც ხანძარი გამოიწვია. ომის შემდეგ შენობა გადავიდა კიევის სახელმწიფო სამხარეო არქივის განკარგულებაში. ტაძრის ტერიტორიაზე განათავსეს რადიოსადგური, რომელიც ახშობდა ბი-ბი-სი-სა და „თავისუფლების“ რადიოტალღებს...

ხოლო 1979 წლის 13 თებერვალს სსრკ-ს სამინისტროს საბჭოს გადაწყვეტილებით, ტაძრის ნაგებობას ეწოდა კამერული და საორდანო მუსიკის რესპუბლიკური სახლი.

80-იანი წლების ბოლოს მორწმუნები დაუინებით ითხოვდნენ საკუთარი ტაძრის და მისოვის საღმრთისმსახურო იერსახის დაბრუნებას. 1991 წლის 3 სექტემბრიდან რეგულარულად, ყოველკვირას, იკრიბებოდნენ მორწმუნები ტაძრის წინ და მხოლოდ 1992 წლის 2-20 იანვარს მოწერა ხელი ბრძანებას, რის თანახმადაც ტაძარი იყო არა მხოლოდ საკონცერტო დარბაზი, არამედ შენობაც, რომელშიც ღმრთისმსახურების (წირვის) ჩატარების ნება დართეს.

1992 წლის 4 დეკემბერს, 50 წლის შემდეგ, მორწმუნებმა ისევ შეძლეს თავიანთი ტაძრის ზღურბლზე გადაბიჯება. გაიმართა ტაძრის საზეიმო გახსნა, რომელსაც ესწრებოდა სამი ეპისკოპოსი, ათზე მეტი მღვდელმსახური და 1500-მდე მორწმუნე. წმინდა სანაწილე აინთო და ღვთის სიტყვა გაისმა კიევ-ჟიტომირის ეპარქიის ეპისკოპოს იან პურვინსკის მიერ.

2001 წლის 25 ივნისს, უკრაინაში თავისი სამოციქულო ვიზიტის დროს წმ. ნიკოლოზის ტაძარი მოინახულა რომის პაპმა იოანე პავლე II-მ.

დღეისათვის, წმ. ნიკოლოზის ტაძარი კვლავინდებურად ცნობილია უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებთა და კიევის სტუმრებს შორის, როგორც კამერული და საორდანო მუსიკის სახლი – ეს არამორწმუნეთათვის, მორწმუნე კიეველებმა კი, როგორც კათოლიკებმა, ასევე მართლმადიდებლებმა იციან, რომ ეს ნაგებობა უპირველესად არის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, სადაც ღმრთისმსახურება 4 ენაზე აღესრულება:

დღესდღეობით, კიევში 8 ლათინური წესის კათოლიკური საკრებულოა, მათ შორის ექვსს არ გააჩნია ეკლესიის ნაგებობა.

**ვინიცა:** აქ მოქმედებს ტაძარი-მონასტერი: ეს ტაძარი მიძღვნილია ყოვლადწმიდა მარიამისადმი და იგი დაარსდა 1745 წ. არქიტექტურული სტილი – ტოსკანური ბაროკო. ღმრთისმსახურება აღესრულება უკრაინულ და პოლონურ ენებზე.

მეორე ტაძარი-მონასტერი დომინიკელი ბერების მიერ აიგო 1843-1845 წლებში, ამჟამად ცნობილია როგორც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, ეკუთვნის მოსკოვის საპატრიარქოს.

**უმანი, ჩერკასკის ოლქი:** აქ არის კათოლიკური ტაძარი - ამჟამად მასში მოქმედებს ქალაქის სამხატვრო გალერეა, აიგო მე-18 საუკუნეში (1796).

**დნეპროპეტროვინსკი:** აქ მოქმედებს წმ. ნიკოლოზის ტაძარი, სადაც წირვები აღესრულება ლათინური კათოლიკური წესით.

**დნეპროპეტროვე:** აქ წართმეული ტაძარი დაუბრუნებს რომის კათოლიკებს, მაგრამ ნაგებობის ყოფილმა მფლობელმა ფირმამ დამით დემონტაჟი გაუკეთდა წყლის გათბობის გაყვანილობას და მილიციის ძალით გააძევეს მორიგე საკრებულოს წევრები. დნეპროპეტროვეს კათოლიკები ჩვენგან, საქართველოს კათოლიკებისგან, ითხოვენ სოლიდარობის ლოცვას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის.

უქრაინაში ყოფნისას გონებით ვუბრუნდებოდი ზოგიერთი ჩვენი კათოლიკური ეკლესიების მხგავს პრობლემებს. საჭიროა სულის ერთიანობა და ლოცვა ამ ეკლესიებისთვის.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება უფლის სიტყვები: „მე კი გუშნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყვრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულებებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით” (მათ. 5,4).

## ალექსი კაბაკი

### ინტერვიუ

## წელიწადი სინოდის შემდეგ

ერთი წელი გავიდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის პირველი სინოდის გახსნიდან. ეკლესიამ უკვე გადადგა ნაბიჯები სინოდის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, მაგრამ „სამკალი ფრიად არს“, წინ ფრიად ძელი და საინტერესო გზა, გზა რომელიც უკვლამ ერთად უნდა გავიაროთ.

იმის გათვალისწინებით, რომ „საბას“ მკითხველს დაინტერესებს სინოდის პრეზიდენტის, ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო აღმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, აზრი სინოდის შემდგომ განვლილი ერთი წლის შესახებ, გთავაზობთ მასთან საუბარს, რომელიც ციცინთ ხითარი შვილმა ჩაიწერა.

მეუფე ჯუზეპე, სინოდის წიგნის დასკვნით ნაწილში თქვენ წერთ: „სინოდის დამთავრებისთანავე იქსო გვიბრძანებს, „მაშინვე“ „მეორე ნაპირისაკენ“ გავწიოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეგვიძლია ამ ადგილას დარჩენა! არ შეგვიძლია ერთ ადგილას გაჩერება!“ თქვენ როგორ ფიქრობთ, განვლილი პერიოდის შემდეგ, კათოლიკე ეპლესიამ საქართველოში გადადგა ნაბიჯი „მეორე ნაპირისაკენ“, თუ ჯერ არ დამდგარა „მაშინვე“? და ჯერ ვეგძელით ჩვენი რწმენის მკაცრი გამოცდის“ ჩაბარება?

კარგია, რომ არ ვივიწყებთ ამ საეკლესიო მოვლენას, რომელიც მოხდა ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში და აღბეჭდილია მის დღევანდელ ყოფასა და საქმიანობაშიც. ასე რომ, მადლობა „საბას“, რომ შეგვახსენა ეს მნიშვნელოვანი თარიღი. მახსოვეს, ერთი წლის წინათ, სწორედ ამ დღეებში, ჩვენთან კურიაში თავაუდებლად ვმუშაობდით, რომ კარგად მომზადებული და ორგანიზებული შევხვედროდით ამ მომენტს.

სინოდმა შეიმეცნა, რომ არსებობს „მეორე ნაპირი“, ამიტომ ქრისტესკენ მიმავალ გზაზე არასოდეს უნდა გაგჩერდეთ ერთ ადგილზე, მუდამ უნდა ვიაროთ წინ. „მაშინვე“ და „მეორე ნაპირი“ ყოველთვის აქტუალურია, ისინი აღნიშნავენ ჩვენს მოწოდებას სიწმიდისაკენ, ზრდისაკენ, იმისკენ, რომ არასოდეს ვიგრძნოთ თავი სრულად დაკმაყოფილებულად, ასევე, მიგვითოვებენ, რომ არასოდეს უნდა დავნებდეთ უიმედობას და არ უნდა დავიცეთ სულიერად, როდესაც სირთულეები გადაულახავი გვეჩენება, როცა ჩანს, თითქოს ბოროტება იმარჯვებს სიკეთეზე, ან როცა, თითქმის დარწმუნებული ვართ, უსამართლობა გამარჯვებას ზეიმობს სამართლიანობაზე. ყოველთვის არის „მეორე ნაპირი“ – „იქეთა მხარე“. ზღვა შეიძლება დელავდეს კიდეც, მაგრამ თუ გვაქვს რწმენა იქსოში, თუ ძალგვის მისი მოხმობა, მისდამი სრულად მინდობა და მხოლოდ ჩვენს ძალებს არ დავეყრდნობით, მივაღწევთ „მეორე ნაპირს“.

სწორედ სინოდის დასრულების შემდეგ ზოგიერთმა ჩვენმა საკრებულომ (განსაკუთრებით გამოვყოფ სამხრეთის საკრებულოებს) რთული პერიოდი

გადაიტანა; ვფიქრობ, სწორედ ეშმაკი მუშაობდა იმაზე, რომ ამ საკრებულოებს დაეკარგათ ხალისი და ნდობა. მაშინ უდიდესი იქნებოდა ეშმაკის გამარჯვება, რადგან მას სურს დაგვარწმუნოს, რომ „მეორე ნაპირი“ არ არსებობს, რომ უმჯობესია შევწყვიტოთ ბრძოლა და უკან დავიხილოთ, უმჯობესია უფრო ადვილი გზა ავირჩიოთ. საჭიროა ამოვუშვათ იესო ნავზე, ის დააწყნარებს მდელვარე წყლებს.

სინოდმა კათოლიკე ეკლესიას საქართველოში სამი მთავარი მიმართულება დაუსახა: ერთიანობა, ფორმაცია და საეროთა როლი ეკლესიაში. როგორც თქვენ „სინოდის წიგნში“ ბრძანეთ მიმართულებების არჩევისას არავის უხელმძღვანელია თქვენი, როგორც ეპისკოპოსისა და სინოდის პრეზიდენტის, ასევე, სხვათა და სხვათა მითითებების საფუძველზე, არამედ მთელ სამწყსოს, სინოდის კომისიასა და თავად სინოდს ეს არჩევანი სული წმიდამ შთააგონა. ერთი წლის გადასახელიდან, მაინც რომელი მიმართულება აღმოჩნდა უფრო საშური და გადაუდებელი კათოლიკე ეკლესიისათვის ჩვენს ქვეყანაში, რომელი მიმართულებით აიღო გზი ეკლესიამ და რა წარმატებებს მიაღწია ამ ძნელად სავალ გზაზე?

სინოდს შეიძლება ორი კუთხით შევხედოთ: როგორც სოციალურ მოვლენას (რაც ნამდვილად საინტერესოა, რადგან წარმოგვიდგენს რაელობას, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი) და როგორც საეკლესიო მოვლენას (რაც, ასევე, ძალზედ საინტერესოა, რადგან წარმოგვიდგენს ეკლესიის რეალობას, მის სიცოცხლისუნარიანობას, მის ძალასა და სისუსტეს). მაგრამ, ვფიქრობ, უპირველს ყოვლისა, მას მაინც უნდა შევხედოთ, როგორც თეოლოგიურ მოვლენას, ანუ ღმრთის მოქმედების ხერხს. როცა თვალს გადავავლებთ სინოდის წევრების სიტყვებს, რომლებიც „სინოდის წიგნშია“ თავმოყრილი, ვხვდებით, რომ სინოდის კრების ნაშრომებში აღბეჭდილია სული წმიდის ჩარევის კვალი. ამ რწმენიდან იბადება პასუხისმგებლობა, რომ ჩვენ სწორედ ისე უნდა წარმართოთ ცხოვრება, როგორც ეს შემეცნებული და დაფიქსირებულია „სინოდის წიგნში“.

სინოდმა განსაზღვრა სამი მიმართულება, რომლითაც ეკლესიამ უნდა იხელმძღვანელოს მომდევნო წლების განმავლობაში. არა მგონია, მათგან რომელიმე უპირატესი იყოს, მე მათ აღვიქვამ, როგორც ერთი პირამიდის სამ გვერდს და სამივე ერთი უმაღლესი წერტილისკენაა მიმართული. ამ მიმართულებით უკვე დავიწყეთ სვლა.

ეკლესიის ერთიანობის მიმართულებით გაკეთებულ განცხადებაში ერთი მუხლი იყო, მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, რომლებიც ორივესათვის მტკიცნეულია: ზრუნვა სიცოცხლეზე – აბორტი, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი... როგორი ნაბიჯი გადაიდგა ამ საკითხის ხორცშესასხმელად კათოლიკე ეკლესიის მხრიდან და მიიღო თუ არა თქვენი წინადადება მეორე მხარემ?

ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც სინოდმა ჩამოაყალიბა და მხარი დაუჭირა მართლმადიდებელ ეკლესიასთან სოციალურ სფეროში თანამშრომლობისათვის მზაობის იდეას. ადვილი მისახვედრია, რო ამ მზაობას, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად ედო სინოდის წევრების სიყვარული საქართველოსადმი, საქუთარი სამშობლოსადმი. ხალხის პრობლემებმა სინოდის წევრთა გულებში შეაღწია და სოციალურ სფეროში ნაკისრი ვალდებულება, განსაკუთრებით კი მრავალი ადამიანის ტანჯვისა და სიღატაკის პრობლემების შემსუბუქების კუთხით, იქცა მიზნად, რომლის განხორციელებაში ჩვენ, კათოლიკეებს გვსურს თანამშრომლობა, როგორც ყოველთვის ვაკეთებდით ადრეც. მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნა მომდინარეობდა ჩვენს ძმებთან ერთობის ხიდების შექმნის საჭიროებიდანაც.

მეტად შეჭირვებული ადამიანის საკეთილდღეოდ შრომა, ადამიანებს აერთიანებს. ადგილია დატაკების დასახმარებლად შრომა ურწმუნო ადამიანებთან ერთადაც კი. მით უმეტეს, უფრო ადგილია მეორე ქრისტიანთან ერთად. მართალია დღემდე არ გაჩენილა არცერთი კონკრეტული ინიციატივა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან მზად ვიყავით და ვთავაზობდით თანამშრომლობას მართლმადიდებელ ეკლესიას. სინოდის ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, მიზად ისახავდა ორი ეკლესიისათვის გადაედგმევინებინა პირველი ნაბიჯები სწორედ უფრო ადგილ გზაზე სასიარულოდ.

თუმცა ძალიან დამწყდებოდა გული, თუ ეს შესაძლო თანამშრომლობა ჩრდილში მოაქცევდა ან მეორე პლანზე გადაიტანდა თეოლოგიურ და სამოძღვრო საკითხებზე დიალოგის გამართვის სურვილს. არ შეგვიძლია დავივიწყოთ ეს უმაღლესი მიზანი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია; დაუშვებელია ვერ შევძლოთ ერთად საუბარი ნათლობისა და სხვა საიდუმლოების ურთიერთაღიარების თაობაზე, წარმოუდგენელია ვერ შევძლოთ დაგუკვირდეთ ჩვენი რწმენის საფუძლებს და დავინახოთ და წარმოვაჩინოთ ის, რაც გვაერთიანებს, რათა გასაგები და ცნობილი გახდეს ყველასათვის. წარმოუდგენელია, რომ ჯერ კიდევ არსებობდეს მართლმადიდებელის შორის ვიდაც, ვინც იფიქრებს, რომ კათოლიკე არ არის ქრისტიანი, ან კიდევ უარესი, რაც დრო და დრო გვესმის ხოლმე, რომ კათოლიკე ქრისტიანობის მტერია. განა შეიძლება თავი მოვიკატუნოთ თითქოს არაფერი ხდება?! როგორ ანგარიშს მოგვთხოვს დმერთი ბოლოს? დაე, სულმა წმიდამ დაგვანახოს თუ როგორ ვიმოქმედოთ, რა ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი და მოგვცეს გამბედაობა მათ გადასადგმელად. ადარ გვაქვს დასაკარგი დრო!

**საქართველოს კათოლიკურმა საკრებულოებმა როგორ დაიწყეს სინოდის გადაწყვეტილებების ხორცშესხმა თავიანთ სამრევლოებში და თავად ისინი უფრო რომელ მიმართულების განხორციელებას ანიჭებენ პრიორიტეტს?**

პირადად მე, თავს ვალდებულად მივიჩნევ, გავაკეთო ისე, რომ მომდევნო წლებში სინოდის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ჩვენი ეკლესიის კონკრეტულ ცხოვრებად იქცეს. უკვე ბევრი რამ კეთდება (მაგ: დიაკვნებისა და საკრებულოს ხელმძღვანელების მომზადება – ფორმაცია, ფორმაციის კურსი ოჯახებისათვის, საკრებულოებში თანაზიარების საკითხისადმი ყურადღება, სამწყსო საბჭოების შეხვედრა ეპისკოპოსთან, სულიერი ვარჯიშები ახალგაზრდებისა და მოზრდილებისათვის, მუშაობა კატეხიზური პროექტისათვის), ყოველივე დიდ დროს საჭიროებს, მნიშვნელოვანია დაწყება. კარგ გზას ვადგავართ, თუმცა იგი საკმაოდ გრძელი იქნება.

**სინოდზე თითქმის 80 ადამიანი იყო შეკრებილი. ისინი გარკვეული პერიოდის მანძილზე ერთად მუშაობდნენ, ერთად ცხოვრობდნენ, ერთად მსჯელობდნენ, კამათობდნენ. დამთავრდა სინოდის მუშაობა და თითქოს მისი წევრები ერთმანეთს დაშორდნენ, დაივიწყეს ერთად, დაძაბულ მუშაობაში გატარებული დღეები. მათი მუშაობის ნაყოფს ალბათ, უკვე იმკის ეკლესია. მაგრამ ხომ არ აჯობებდა, სინოდის გახსნის ერთი წლის თავზე ისევ ერთად შეიკრიბოს სინოდის მთელი შემადგენლობა და ერთად გააანალიზონ მათ მიერ განსაზღვრული ეკლესიის მიმართულებების სისწორე და მიზანშეწონილება?**

როდესაც სინოდი იხურება, ყოველი მონაწილე აცნობიერებს, რომ ის კვლავ ჩვეულებრივი მორწმუნე ხდება, რომელსაც აქვს გარკვეული

პასუხისმგებლობა-მოვალეობანი ეკლესიაში, რაც მისი ნათლობის ფაქტიდან გამომდინარეობს. სინოდის წევრობა არ გრძელება მთელი ცხოვრება. თუმცა, თქვენს მიერ შემოთავაზებული იდეა მშვენიერია, სწორედ ამიტომ, ვსარგებლობ შემთხვევით და „საბას“ საშუალებით ვაცხადებ, რომ სინოდის ყველა ყოფილი წევრი, 15 ღეკემბერს, შაბათს (სინოდის დახურვიდან ერთი წლის შემდეგ), მოწვეული არიან წეროვანში, რომ ერთად გავატაროთ დრო, ვისაუბროთ, გავაანალიზოთ განვლილი პერიოდი. ძალზე სასიხარულო იქნება ერთმანეთის კალავ ხილვა და სასარგებლოც ჩვენი ეკლესისათვის.

როდესაც საერთა როლის შესახებ სინოდმა დეკრეტები დაადგინა, უურნალ „საბასაც“ მისცა გარკვეული მითითებები. თქვენ როგორც კათოლიკე ეკლესიის მეთაური საქართველოში როგორ აფასებთ „საბას“ მუშაობას, ამართლებს თუ არა ის ხალხისა და თქვენს იმედებს? რას ურჩევდით მის სარედაქციო საბჭოს მომავლისათვის?

ვფიქრობ, უურნალი „საბა“, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არის და ყოველთვის უნდა იყოს სინოდის მიერ განსაზღვრულ მითითებებთან სრულ თანხმობაში. იგი ინსტრუმენტია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თანაზიარებას, ერთობას (ინფორმაცია ყოველთვის ნათლად უნდა გამოხატავდეს ამ მიზანს), ხელი უნდა შეუწყოს მორწმუნეთა ჩამოყალიბებას – ფორმაციას (სწორედ ამაში მდგომარეობს იმ ზოგიერთი სტატიის მნიშვნელობა და ფასეულობა, რომელიც, შესაძლოა, ცოტა მძიმე წასაკითხადაც მოგვეჩვენოს) და სულ უფრო მეტად უნდა ჩართოს, დააინტერესოს საერო პირები. ასევე, კმაყოფილი დავრჩებოდი „საბა“ რომ უფრო მოქნილი, ცოცხალი გამხდარიყო, ნაკლებად მძიმე და მეტად ახალგაზრდული.

### მკითხველები გვწერენ

#### ტკბილად მოსაგონარი ამბები

ქართველმა კათოლიკებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ბევრი დიდებული შვილი გაზარდა საქართველომ და მათ შორის ბევრია კათოლიკე. მე-19 საუკუნის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკე იყო, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. ამისათვის ზაქარია ფალიაშვილის ოჯახის გახსენებაც კი იკმარებდა, რომ აღარაფერი ვთქვა უნივერსიტეტის პირველ რექტორზე პეტრე მელიქიშვილზე, ყაუხეთიშვილებზე, ხეჩინაშვილებზე, მიზანდარებზე, ოცხელებზე, თუმანიშვილებზე, იშხნელებზე, პოლოლიკაშვილებზე, ვარლამიშვილებზე... მათი გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ასევე, უნდა გვახსოვდეს ქართველი კათოლიკე ქალბატონი ნინო ყაუხეთიშვილი, რომელიც რომში ქართული აულტურის დღეებს აწყობდა.

იმ პერიოდში ქართველი ხალხი სათანადო პატივს მიაგებდა გამოჩენილ მამულიშვილებს, იქნებოდა ის მართლმადიდებელი თუ კათოლიკე, მუსლიმი, თუ ებრაელი, აღმსარებლობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მაგალითად, ოპერის ბაღშია დაკრძალული დიდი ზაქარია ფალიაშვილი, მთაწმიდაზე აკაკის გვერდით განისვენებს ზაქარიას ძმა, ივანე ფალიაშვილი; ხოლო რეზო თაბუკაშვილმა დიდი ძალისხმევის ფასად მიხეილ თამარაშვილის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენა და ამით პატივი მიაგო მის ხსოვნას...

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები შეძლებისდაგვარად ეხმარებიოდნენ ერთმანეთს. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილს ფულადი დახმარება გაუწევია სულმნათო ზაქარია ფალიაშვილისათვის. ასევე ეხმარებოდნენ უცხოეთში მყოფ მიხეილ თამარაშვილსაც, რომელიც უდიდეს საქმეს იყო შეჭიდებული და სხვადასხვა ქვეყნის არქივებში ეძებდა მასალებს

საქართველოს შესახებ. მის ნაშრომს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ დიდი შეფასება მისცეს უცხოეთშიც და სამშობლოშიც. დიდმა ილიამ მას „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა.

ყოველი დიდი ქვეყანა ინატრებდა ისეთ შვილებს, როგორებიც ქართველმა კათოლიკებმა გაგვიზარდეს. ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ არა მარტო მათ სხვენას, არამედ ახლაც ხელხელჩაკიდებულებმა უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი, საქართველო ჩვენი საერთო სამშობლოა, განურჩევლად რწმენისა და დაპირისპირების მიზეზად არ უნდა იქცეს, მავანთა და მავანთა მიერ პროვოკაციული ხასიათის წერილები თუ პასკვილები.

სასწრაფოდ მოსაგვარებელია კათოლიკური ეკლესიის საკითხი სოფელ ივლიტაში და საქართველოს სხვა რეგიონებშიც. გაურკვეველია ამით რას იგებს მართლმადიდებელი ეკლესია?.. ვის წისქვილზე ასხამს წყალს?.. განა ცოტა მართლმადიდებლური ეკლესიები აშენდა და შენდება?.. რა საჭრიოა კათოლიკების კუთვნილი ეკლესიების მითვისება?.. გავაცნობიეროთ, რომ კათოლიკური სამყარო არავის ესხმის თავს, პირიქით, მოწადინებულია მხარში ამოგვიდგეს, დაგვეხმაროს.

პარგად დავფიქრდეთ, კათოლიკებს თავიანთი კუთვნილი ეკლესიები უნდა დაუბრუნდეს, თუკი გვინდა, რომ ჩვენც ისე განგვიკითხონ, როგორც ჩვენ განვიკითხავთ.

გაუა სილაგაძე

ინფორმაცია

## მცირე უწყება ქრისტიანული ბანაკის შესახებ

ქრისტიანული ინტერკონფესიული ბანაკების ისტორია რამდენიმე ათწლეულს ითვლის, საქართველოში მსგავსი ბანაკების არსებობის ისტორია კი სულ ერთ ათწლეულს შეადგენს. მიუხედავად თავისი შედარებით ხანმოკლე ისტორიისა და საკმაოდ რთული და არატოლერანტული გარემო ფონისა, ქრისტიანულმა ინტერკონფესიულმა ბანაკებმა მრავალი გულშემატკიცარი შეიძინეს საქართველოში მოქმედ მრავალ კონფესიისა და დენომენაციის წარმომადგენლებს შორის, მათ შორის კი ყველაზე მრავალრიცხვანი, ამბიციური და სამართლებრივად ყველაზე დაცული აღმსარებლობის წარმომადგენელთა შორის. ყოველწლიურად სამასამდე ადამიანი ისვენებს და თან ბიბლიურ განათლებას იღებს ქრისტიანულ ბანაკში, რომელიც უკვე მესამე სეზონს ატარებს ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ უმშვენიერეს კურორტ ცემში. ქრისტიანულ ბანაკში, ბიბლიის შესწავლის გარდა, მოზარდებს ყოველდღიური საშუალება აქვთ მაქსიმალურად გამოივლინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარები: დრამის, ცეკვის, მუსიკის, ხელსაქმის, ხატვის, ინგლისურის წრეებში და საღამოს უკვე სცენიდან წარმოადგინონ თავიანთი შემოქმედება.

ქრისტიანულ ბანაკში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტსაც. ბანაკელები ყოველდღიურად აქტიურად მონაწილეობენ „მხიარულ სტარტებსა“ და „ქრისტიანული“. მთლიანობაში ბანაკის წევრებს მეტად საინტერსო, დატვირთული პროგრამით უხდებათ ცხოვრება და მოწევისათვის დორ არ რჩებათ. ქრისტიანული ბანაკის პროგრამა საერთოა ამ ტიპის ყველა ბანაკისათვის, სადაც არ უნდა მოქმედებდეს იგი.

ქრისტიანული ბანაკების ასოციაციაში გაერთიანებული ნებისმიერი ბანაკების მიზანი ერთია, აზიაროს მისი წევრები, მიუხედავად კონფესიისა, ბიბლიაში დაცულ დმრთის სიტყვას. ბანაკში ბიბლიის გაცნობის შემდგომ

მოზარდს შეუძლია თავად გააკეთოს დამოუკიდებელი არჩევანი. ბანაკი არ ისახავს მიზნად და არც ცდილობს, რომელიმე კონფესიის პროპაგანდას. ლიდერებიც სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებიდან არიან შერჩეულები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცემის ბანაკში მართლმადიდებლები უმრავლესობას წარმოადგენენ, ლიდერებისა და პედაგოგების გარკვეული ნაწილიც მართლმადიდებლები გახლდნენ, სასულიერო აკადემიის მსმენელები. იყვნენ სხვადასხვა პროტესტანტული დენომენაციების წარმომადგენლები. გარდა უშუალოდ ბანაკის წევრი მოზარდებისა, მრავლად ვიყავით დამსვენებლებიც, რომლებიც ბანაკელთა თვითშემოქმედების აქტიური მაყურებლები და შემფასებლებიც გახლდით. დამსვენებლები ტოლერანტული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. იყვნენ ისეთიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საბანაკო ცხოვრებაში, ზოგიც შედარებით პასიურობდა, ზოგიერთი დამსვენებელი სიამოვნებით ადევნებდა თვალს ინტერკონფესიულ მოზარდთა მიერ მომზადებულ ზოგადქრისტიანული მორალის მქონე დრამატურგიულ მინიატურებს, სიამოვნებით უსმენდა ან თავადაც გალობდა რელიგიურ საგალობლებს. თუმცა ცოტანი, მაგრამ იყვნენ ისეთიც, ვინც ხელოვნურად, სერიოზული სახით უყურებდა მოზარდთა მიერ მომზადებულ რელიგიურ თუ უბრალოდ გასართობ თეატრალურ სცენებს, ხოლო როდესაც რელიგიური თემატიკის სიმღერა გაეღერდებოდა, დემონსტრატიულად სტოვებდა დარბაზს, „აქაოდე, ყველამ კარგად დამინახეთ, როგორი მტკიცა მართლმადიდებელი ვარო“. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება თავისი რწმენის წესებიდან და ნორმებიდან გამომდინარე ისე მოიქცეს, როგორც ეს მოთხოვნები კარნასობენ, თუმცა რაღაც არ მახსენდება, რომ რელიგიური ქცევისა თუ ურთიერთობის კანონები ვინმეს აუძულებდეს სხვების დასანახად გამომწვევი მოქმედების ან საკუთარი უპირატესობის ხაზგასმისაკენ. და ეს რამდენიმე ორიოდე ქალბატონის მიერ ყოველდღიურად განმეორებული დემონსტრატიული ქმედებანი, დამსწრეთა მსუბუქ ირონიას იწვევდა.

თავისუფალ დროს დამსვენებელთა შორის ხშირად იმართებოდა კამათი რელიგიურ თუ ისტორიულ საკითხებზე. ფიცხი თრმოცდაათიანელები, დინჯი ბაპტისტები და უკომპრომისო მართლმადიდებლები უშედეგოდ ცდილობდნენ თავიანთი არგუმენტების დასაბუთებას. საბოლოო არბიტრად პროტესტანტებიც და მართლმადიდებლებიც კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელს მიმართავდნენ. განსაკუთრებულად აქტუალურ საკითხად ეკლესიების ორი ფილტვის თეორია და მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკის საკითხი წარმოადგენდა. ამ დისკუტებმა იმთავითვე გამოავლინა ტენდენცია, რომ აღმოსავლეთის ეკლესია ბევრად ახლოს არის დასავლეთის ეკლესიასთან ყველა ასპექტში, ვიდრე პროტესტანტულ ეკლასიებთან და რომ ეს ეკლესიები მართლაც ერთი სხეულის ორ ფილტვს წარმოადგენენ და მათ შორის განსხვავების მოძებნა, თუ ამის წინასწარგამიზნული სურვილი არა გაქვს, საკმაოდ ძნელია. და რომ საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე აგორებულმა ანტიკათოლიკურმა ტალღამ, რომელიც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, მაინც ვერ წაშალა ქართველ მართლმადიდებელთა პატივისცემა რომის წმინდა ეკლესიის მიმართ და იმ ღვაწლისა, რაც კათოლიკე ეკლასიას მიუძღვის საქართველოს ისტორიაში.

საბოლოო ჯამში კი ყველა ერთხმად ეთანხმაბოდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ქრისტეს ეკლესიის დანაწევრება ეს არ არის ღმრთაებრივი ნების გამოხატულება და ეს ადამიანების მოგონილია, მათი, ვინც არასწორედ გაიგეს ღმრთის წერილი. და თუ ეკლესიათა გაერთიანება შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში), უბრალო ქრისტიანებს ზოგადად მსოფლიოში, კონკრეტულად კი საქართველოში გასაყოფი არაფერი აქვთ, გასაკეთებელი კი ბევრი.

ცემის ქრისტიანული ბანაკი, მიუხედავად ცალკეული უმნიშვნელო ხარვეზებისა (ნაკლოვანებების პოვნა ხომ ადამიანური ჩევევა, ტელესკოპის აღმოჩენისთანავე ადამიანმა მზეს უპოვა ლაქები), დიდ დადებით საქმეს აკეთებს საქართველოს ახალგაზრდებში ტოლერანტული ატმოსფეროს დამკვიდრებაში და ეს, ალბათ, მთავარი დამსახურებაა ქრისტიანული ბანაკისა, რომელიც მომავალში უფრო მასშტაბური გახდება და მასში კათილიკე ახალგაზრდობის წილიც გაიზრდება.

## ნუგზარ ბარდაველიძე

საუკუნო განსვენება მიანიჭე მას, უფალო!

### ნინო აღოშაშვილის ხსოვნას

\* 1930 წლის 30 ნოემბერი, სოფ. ივლიტა

† 2007 წლის 24 ივლისი, სოფ. უდე

ბედნიერი ის კი არ არის, ვინც ყველაფერს აკეთებს, რათა ფუფუნებაში იცხოვროს, არამედ ის, ვინც ეძებს და პოულობს იმ გზას, რომელსაც მარადიული სიცოცხლისაკენ მივყავართ. ეს გზა ადამიანებისადმი უანგარო მსახურებით, სიყვარულითა და რწმენით უნდა იყოს შთაგონებული. ახლახან წავიდა ჩვენგან ამაგდარი ქალბატონი ნინო აღოშაშვილი, რომელიც არაერთი წლის მანძილზე კატეხისტი იყო.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უდეში ეკლესია არ იყო, ქალბატონი ნინო არღის ეკლესიაში დადიოდა ღმრთისმსახურებაზე და იქ ატარებდა კატეხეზებს. შემდეგ მან შეკრიბა რამდენიმე ჯგუფი და უდეში, საკუთარ სახლში, კატეხიზაციებს უტარებდა ბავშვებსა და მოზრდილებს, ასწავლიდა გალობებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის უდის ეკლესიის აღორძინებაში.

აღსანიშნავია, რომ ასაკოვანი ქალბატონი დაღლას ვერ გრძნობდა, ამა წლის მაისისა და ივნისის თვეში თითქმის ყოველდღიურად დადიოდა წმიდა წირვებზე და ლოცვებს უტარებდა ბავშვებს. ბავშვები ეკლესიაში სიხარულით მიდიოდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ ქალბატონ ნინოსგან ბევრ ახალსა და საინტერესოს ისწავლიდნენ.

კარგად მახსოვს, როცა საზაფხულო არდადებები დაიწყო, ქალბატონი ნინო ბავშვებს თვალცრემლიანი დაემშვიდობა, მათ კარგი დასვენება უსურვა და დაპირდა, რომ ოქტომბრიდან კვლავ გააგრძელებდა მათთან მუშაობას...

გვჯერა, ნათელი არ მოაკლდება მის სულს.

ნანა აღლემაშვილი

უდე

### ახალგაზრდული გვერდი

## ჩვენ არ ვეძებთ დმერთს, არამედ დმერთი გვეძებს ჩვენ

ახალგაზრდული საბჭოს მიერ ორგანიზებული საზაფხულო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო სულიერი წვრთნანი (რეკოლექციები), რომელიც ამა წლის 26-29 ივლისს ჩატრადა წეროვანში. შეხვედრას მამა აკაცი ჭელიძე და და უზრუნველყონა უძღვებოდნენ.

პირველად ვიდებდი მონაწილეობას ასეთი ტიპის შეხვედაში და, რატომდაც ვდელავდი, თუმცა მთელი გულით ველოდი. მოლოდინი არ

გამიცრუვდა, რეკოლექცია ჩემთვის არაზეულებრივად ნაყოფიერი და ბევრის მომცემი აღმოჩნდა.

ამ დღეების განმავლობაში მამა აკაკიმ ჩვენს წინაშე რწმენის ნამდვილი საგანძური გადაშალა, ჩვენი მხრიდან კი საჭირო იყო მხოლოდ გულწრფელად და მთელი გულით დავწაფებოდით მას. ამ დღეებში ჩემთვის რწმენასთან დაკავშირებული ბევრი საჭოჭმანო, ბურუსით მოცული და ამოუცნობი მოვლენა შედარებით ნათელი გახდა. რა თქმა უნდა ძნელია ადამიანური გონებით ჩასწვდე ლმრთის განგებას, არამედ, უბრალოდ უნდა შეხვდე მას. მასთან შესახვედრად კი უნდა უსმინო ლმრთის სიტყვას და აღმოაჩინო, რომ „ლმერთი არ არის შორეული, არამედ ის არის აქ, ახლა, ჩემთვის, მთლიანად“.

დილა-საღამოს ერთსაათიანი შეხვედრების შემდეგ, რამდენიმე საათს ვატარებდით სიჩუმესა და ლოცვაში, ლმრთის სიტყვის ძიებაში. და იბადებოდა კითხვა: რა უნდა ლმერთს ჩემგან? მე უნდა აღმოვაჩინო ლმრთის სიტყვა და ვუპასუხო მას. ყოველდღიურად, ჩემი ცხოვრების ყოველ მომენტში უნდა გავაცნობიერო, რომ „მე ვარ აქ, ახლა, შენთვის მთლიანად“. სწორედ ამ მარტივი ჭეშმარიტების გააზრებაში იხსნება ჩემი რწმენის საიდუმლო.

განმარტოების წუთებში, ასევე, საშუალება გვქონდა, რომ გავსაუბრებოდით მდვდელს ან მონაზონს, გვეთქვა აღსარება, რომელიც მამა აკაკის ლექციების შემდეგ თითქოს თავისით მოდიოდა ჩვენი გულებიდან. ერთმა ახალგაზრდამ ისიც კი აღნიშნა, რომ მან სულ რაღაც 10 დღის წინ თქვა აღსარება, მაგრამ ახლა მის გულში ისევ იფეთქა წყურვილმა იმისა, რომ კვლავ დამდგარიყო უფლის წინაშე ცოდვათა მიტევების სათხოვნელად.

ამ შეხვედრაზე გავაცნობიერე, რომ არასოდეს არ არის გვიან დაიწყო ახალი ცხოვრება; რომ მე კი არ ავირჩიე ლმერთი, არამედ მან თვითონ ამირჩია; რას ნიშნავს იყო თავისუფალი; უყურო სამყაროს ლმრთის შუქში და ლმრთის თვალებით, შეაფახო საკუთარი თავი.

ულრმესი მადლობა და უზეფინას გულითადი მოყერობისათვის, აგრეთვე მამა აკაკის, იმისათვის, რომ არ დაიშურა ჩვენთვის ძალა და ენერგია, რათა გადმოეცა ყველაზე ძვირფასი – საკუთარი რწმენა, ცოდნა და გამოცდილება.

ულრმესი მადლობა აგრეთვე წეროვანის სახლის აღმინისტრაციას, მომსახურე პერსონალს, რომლებიც სიყვარულით ზრუნავდნენ ჩვენზე.

კიმედოვნებ, რომ ასეთი შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება და უფრო მეტი ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას, რათა მათაც შეიგრძნონ ერთად ყოფნის სიხარული და საკუთარი რწმენა განამტკიცონ.

## ნატო ალავერდაშვილი გორი

### გიყვარდეთ ერთმანეთი

ახლგაზრდების შეხვედრა წეროვანში

ლმრთის მადლით, ჩვენი ეპისკოპოსის მეუფე ჯუზეპე პაზოტოსა და ახალგაზრდული საბჭოს დახმარებით, 14–15 აგვისტოს წეროვანში ჩატარდა ახალგაზრდების შეხვედრა საქართველოს მასშტაბით, სადაც მრავალმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს სამრევლოდან, წმიდა მარიამის ზეცადაღყვანების საკათედრო ტაძრიდან, ვალედან, არლიდან, ივლიტიდან, გორიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ახალშენიდან, შრომიდან და ოზურგეთიდან. ამ შეხვედრის დევიზი იყო: “გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ”(იოანე 13,34)

ეს დევიზი მიგვითითებს და მოგვიწოდებს ღმრთისა და მოყვასის სიყვარულისკენ. საქმაოდ მნიშნელოვანი იყო ეს შეხვედრა თავისი შინარსით. საყურადღებო იყო განსაკუთრებით გამოცდილებების გაზიარება, რომლებიც გაგვიზიარეს სხვადასხვა საკრებულოს წარმომადგენლებმა. ბათუმიდან, პაპი იოანე XXIII-ის საკრებულოდან (მამა ბენცი), ჩამოსული იყო ორი ახალგაზრდა, რომელებიც საქართველოში მუშაობენ ტოქსიკური დამოკიდებულების მქონე ხალხთან. მათი გამოცდილება შთამბეჭდავი იყო, მათ ისაუბრეს თავიანთ მძიმე, უკუღმართ წარსულზე და ლამაზ აწმყოსა და მომავალზე.

ისინი იყვნენ ნარკომანები დიდი ხნის მანძილზე, ამბობდნენ, რომ ცხოვრობდნენ არარეალურ და გაუგებარ სამყაროში, ხოლო ღმრთისა და კეთილი ადამიანების დახმარებით თავი დააღწიეს ამ უბედურებას. მიუხედავად უკელაფრისა მათ იგრძნეს საზოგადოების უურადღება, მხარდაჭერა და სიყვარული. იმედია მათი შრომა საქართველოში ნაყოფიერი იქნება.

ცოლქმრული სიყვარულის შესახებ ისაუბრა წყვილმა ნეოკატექუმენური საკრებულოდან, მათ აღნიშნეს რომ სიყვარული არის მოწოდება და ღმრთის საჩუქარი, რომლის დანხვაც შეიძლება ერთი ოჯახის ცხოვრებაში.

საყურადღებო იყო აგრეთვე ქუთაისის საკრებულოს და ინერ-საქართველოს წევრის მოხსენება აბორტის შესახებ რამაც ჩვენს ქვეყანაში პროცენტულ ზღვარს გადააჭარბა, მან თქვა რომ, არ შეგვიძლია სიცოცხლე წავართვათ მას, ვისთვისაც არ მიგვიცია, ვინაიდან იგი სიყვარულის ნაყოფია.

უგელა ეს გამოსვლა ადვივებს ჩვენში იმის იმედს რომ, სიყვარული შესაძლებელია, იმისა რომ ახალგაზრდები აღმოჩენენ თავანთ თავს ქრისტეში, რომ მომავალს შეუქმნიან ეკლესიას და საზოგადოებას.

შეხვედრა გამოირჩეოდა მრავლფეროვნებით, სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა, ჩატარდა აგრეთვე ახალგაზრდდული ჯგუფი “შმაილ”-ის როკ კონცერტი, რითაც ახალგაზრდები საკმაოდ გაერთიანდნენ.

მთელი დამის მანძილზე უგელას შეეძლო რომ თაყვანი ეცა ქრისტესთვის (თაყვანისცემის დროს) რაც იმის ნიშანი იყო რომ ვფხიზლობდით ქრისტესთან ერთად სიყვარულით.

15 აგვისტოს, საუზმის შემდეგ ჩატარდა ჯგუფებში მუშაობა: თუ როგორ შეგვიძლია გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი, რაზეც მრავალი ინდივიდუალური პასუხი მოვსმინეთ. ეს შეხვედრა დასრულდა წმიდა წირვით, რომელიც აღავლინა ჩვენმა ეპიკოპოსმა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ მარიამის ზეცად აყვანების საკათედრო ტაძარში რომლის სახელობის დღესასწაული ამ დღესაა.

ამ წირვაზე იგრძნობოდა ახალგაზრდების ერთიანობა, სიყვარული და მომავლის იმედი.

დაქ, გიყვარდეთ ერთმანეთი, რადგან სიყვარული არის გზა რწმენისა და იმედისა.

შოთა გიქოშვილი

## **დასვენება ორპირში**

ორპირში გატარებული ერთი კვირა დაუვიწყარი იქნება თითოეული ჩვენთაგანისათვის. ორპირში ჩასვილისთანავე თავი ისე ვიგრძენით, როგორც საკუთარ სახლში, რადგანაც იქ საოცარი, სიყვარულითა და სიკეთით გაჯერებული გარემო დაგვხვდა. ყოველი დღე შინაარსიანი და მნიშვნელოვანი იყო. დილიდანვე ვივსებოდით სული წმიდის მადლით, რაც საშუალებას გაძლევდა, მთელი დღე ენერგიულად და ხალისიანად გაგვეტარებინა.

მოვაწყვეთ დაუვიწყარი ლაშქრობა გელათის ტაძარში, საინტერესო ექსკურსია სათაფლიაში, მოვინახულეთ ბაგრატის ტაძარი ქუთაისში.

კვირის ყოველი დღე ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ჩავატარეთ ვიქტორინა – ვინ უკეთ იცნობს ბიბლიას და ისესოს. ჩვენს ყოველდღიურ შეხვედრებს უფრო საინტერესოს ხდიდა ჩვენი კატეხისტების ნადია ჩიტაძის, ელა მესხისა და ანა ველიჯანაშვილის მიერ მოფიქრებული და შემოთავაზებული გასართობი პროგრამები.

კვირის ბოლოს ძალიან საინტერესო „კავეენი“ ჩავატარეთ. ყველა ჩავებით ამ საინტერესო ღონისძიებაში და საგანგებოდაც მოვემზადეთ. ჩვენ, ჯგუფებად დაყოფილები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. აღსანიშნავია, რომ ძალიან კარგი „კავეენი“ გამოგვივიდა. გამარჯვებული გუნდი კი სამახსოვრო სუვენირებით დაჯილდოვდა.

გვიან დამით ორპირის ჩაბნელებული ცა ჩვენი კოცონის კაშკაშა ალმა გაანათა. კოცონის გარშემო ჩვენ, შთაბეჭდილებებით აღვხილნი, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს ფიქრებსა და ოცნებებს, სიამოგნებით ვიგონებდით აქ გატარებული ერთი კვირის თითოეულ წუთს და გული გვწყდებოდა, რომ ასე მალე დამთავრდა ჩვენი ორპირული დღეები.

მეორე დილით კი ერთმანეთს დავცილდით იმ იმედით, რომ ორპირი კვლავ მალე გაგვიწყვდა მასპინძლობას.

## **მაგდა და სოფიკო მურადაშვილები მთისძირი**

### **„საქართველოს კარიტასი“ ახალგაზრდების მასპინძელი არდალეგები აბასთუმანში**

რამდენიმე წელია, ყოველ ზაფხულს სამცხე-ჯავახეთის ბაგშვები, რომლებიც ეკლესიის აქტიური წევრები არიან და კატეხიზაციებზეც ხშირად დადიან, „საქართველოს კარიტასის“ პროგრამით, აბასთუმანში ისვენებენ თანატოლებთან ერთად. შეიძლება ითქვას „კარიტასის“ გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ბანაკმაც ბაკურიანიდან აბასთუმანში გადაინაცვლა.

აბასთუმანი წელსაც გულუხვი და სტუმართმოყვარე მასპინძელი აღმოჩნდა ვალეს, უდის, ახალციხის, ივლიბის, ბორჯომის, არლის, ვარგავის, ხიზაბავრის, ბენარისა და უნწის ბაგშვებისათვის. ექვსი კვირის განმავლობაში სახალისო, ინტელექტუალური და გასართობი ბანაკი საუკეთესო გარემო იყო ბაგშვების სულიერი ზრდისა და დასვენებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ბაგშვებთან ერთად აბასთუმნის ბანაკში სომები ბაგშვებიც ისვენებდნენ. ბანაკის ბოლო ნაკადი შეავსო სომხური წესის კათოლიკეთა და სომხური სამოციქულო ეკლესიის ბაგშვების გუნდმა.

იმისათვის, რათა ბანაკის ცხოვრება უფრო სახალისო ყოფილიყო, მისმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მოზარდები დაახლოებით ერთი ასაკის

მიხედვით შეერჩიათ: აბასთუმნისაკენ ყოველ კვირას სხვადასხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან მეტნაკლებად ახლო ასაკის ბავშვთა ჯგუფები მიემართებოდა.

ანიმატორებად ბავშვებს თავიანთი კატებისტები მიჰყვებოდნენ, რომელთაც სემინარისტები დიდი გულმოდგინებით ეხმარებოდნენ. ბანაკის სულისხამდგელი და პასუხისმგებელი კი მამა არტური იყო, რომელიც ეჭვი კვირის განმავლობაში აბასთუმანში იმყოფებოდა და დაუდალავად შრომობდა ბანაკისა და თითოეული ბავშვის კეთილდღეობაზე.

მამა არტურისა და ანიმატორების წყალობით ბანაკის ცხოვრება მეტად საინტერესოდ წარიმართებოდა. მართალია, ბავშვები ბანაკში მხოლოდ თითო კვირით იმყოფებოდნენ, მაგრამ სახლებში მაინც დიდი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ. ყოველ მათაგანს სურდა, მომდევნო ზაფხულს კვლავ მოხვედრილიყვნენ აბასთუმნის ბანაკში.

ცხოვრება ბანაკში აქტიურად მიედინებოდა: იყო საინტერესოდ მოფიქრებული გასართობი თამაშები, ვიქტორინები, ინტელექტუალური შეჯიბრებები და ბევრი სხვა რამ... მოეწყო სილამაზის კონკურსიც, რომელზეც გამოვლინდა „მის ბანაკი“ და „მისტერ ბანაკი“.

ბევრი დრო გვქონდა გასართობად, მაგრამ ჩვენი უმთავრესი საქმე იყო ლოცვა. ყოველ დილას ლოცვით ვიწყებდით და გვჯეროდა, რომ ამის შემდეგ მოელ დღეს შინაარსიანად გავატარებდით. არც გასამხნევებელი ვარჯიშები გავიწყდებოდა და სხეულს ფიზიკურადაც ვიკაუებდით, გემრიელი საუზმე ვარჯიშის შემდეგ კი მართლაც სასიამოვნო იყო...

სამხრეთი საქართველო მთიანი მხარეა და ყველას არა აქვს საშუალება ისწავლოს ცურვა და გაიკაუოს სხეული. მამა არტური ამაშიც გვეხმარებოდა და აბასთუმნის აუზში, კვირაში ორჯერ, ცურვის გაკვეთილებს გვიტარებდა. ბევრი ბავშვის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ადვილად დაეუფლა ცურვას.

არც ლაშქრობები იყო ჩვენთვის „უცხო სილი“, თითქმის ფეხით შემოვიარეთ აბასთუმნის შემოგარენი: ვიყავით ობსერვატორიაში, დაგლაშქრეთ თამარის ციხე. საღამოობით კი ფეხბურთის ჩემპიონატები ეწყობოდა, რომელშიც ყველა დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა, ბიჭები ცდილობდნენ კარგად ეთამაშათ, რომ გულშემატკიფარი გოგონების გული გაეხარებინათ.

ბანაკში საოცარი წესრიგი სუფევდა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ყველამ კარგად იცოდა თავისი საქმე: ათ ბავშვზე ერთი ანიმატორი იყო პასუხისმგებელი, დაწესებული იყო სასტუმროში მორიგეობის სია და ყველა აქტიურად იყო ჩაბმული სასტუმროს მოვლა-დასუფთავებაში.

საღამოობით დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს ანიმაციურ ფილმებს და ძილის წინ უფლის ვედრებით ვასრულებდით დღეს.

კვირა სწრაფად გადიოდა და გულდაწყვეტილი, მგრამ კმაყოფილი ბავშვები შინ ბრუნდებოდნენ, სადაც მოსიყვარულე მშობლები მათ მოუთმენლად ელოდნენ.

## თამრიკო ჩიტაშვილი

### ზაფხულის დღეები „ქუთაისის კარიტასის“ ბავშვთა ცენტრში

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შინაარსიანი და დატვირთული აღმოჩნდა ზაფხულის ცხელი დღეები ქუთაისის ბავშვთა ცენტრის მოსწავლეებისათვის. ხელმოკლე ოჯახების ბავშვები, რომელთა შშობლებსაც საშუალება არ ჰქონდათ შვილები დასასვენებლად გაემგზავრებინათ, თუნდაც სოფლად (ასეთები კი საქმაოდ ბევრი იყო), მთელ დღეებს ბავშვთა ცენტრში ატარებდნენ. მათთვის ცენტრის პედაგოგებმა საგანგებოდ შეიმუშავეს ახალი დროის რეჟიმი და ღონისძიებათა პროგრამა, სადაც ბევრი გასართობი კონკურსი, ინტელექტუალური და სპორტული თამაშობა და სხვა სახის

შეკრებები იყო გათვალისწინებული. ბავშვებს უჩვენებდნენ ფილმებს, დაჟყავდათ ექსკურსიებზე და ლაშქრობებზე. ბავშვები რაზმებად იყვნენ დაუყოფილი, თითოეულ რაზმს თავისი კაპიტანი ჰყავდა. მათ შორის შეჯიბრებები ყოველთვის დიდი ემოციურობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით ეს ითქმის მინიჭებულობის ხემპიონაზე, სადაც უშედავათო ბრძოლაში გამარჯვება III რაზმა მოიპოვა, ხოლო საერთო ჩათვლაში IV რაზმი გამოვიდა გამარჯვებული.

მოეწყო საინტერესო ლაშქრობები ქუთისის შემოგარენში არსებული ისტორიული ძეგლების გასაცნობად. განსაკუთრებით დაუვიწყარი იქნება ექსკურსია სოფელ დიდ ჯიხაიშში, კერძოდ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. აქ ბევრმა მოზარდმა პირველად აღმოაჩინა ეს ბუმბერაზი პიროვნება, რომელმაც იმ დროს საქართველოში ბევრ ისეთ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი, რაც დღესაც აქტუალურია. და, საერთოდაც, ამ დიდმა მამულიშვილმა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაში გალია მთელი ცხოვრება. ასევე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე ნოქალაქევის – არქეოპოლისის დათვალიერებამ, ხოლო მდინარე ტეხურაზე გატარებული დღე მათ, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ.

მიმდინარე 2006-2007 სასწავლო წლის ბოლოს შედგა ხის დამუშავების ტექნოლოგიის შემსწავლელი კურსების მოსწავლეთა პირველი გამოშვება. ეს პროგრამა მეორე წელია მიმდინარეობს ბავშვთა ცენტრის საერთო პროექტის ფარგლებში და ითვალისწინებს 9 კლასის ზევით მოსწავლეთათვის შრომითი სწავლების ორწლიან კურსს, სადაც ბავშვები ეუფლებიან ხის დამუშავებისა და ავეჯის წარმოების სპეციალობებს. წელს კურსი ოთხმა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათ გაიარეს თეორიული და პრაქტიკული სწავლების სრული კურსი ისეთ საგნებში, როგორებიცაა: ხის შრობა და შენახვა, მერქანთმცოდნეობა, ხის დამუშავების ტექნოლოგია, ხაზვა, ხელოვნებათმცოდნეობა, კომპიუტერული სწავლება, უცხო ენა. პრაქტიკულ ნაწილში კი დაუუფლენ ხელსაწყო-იარაღებისა და ჩარხ-დანადგარების ექსპლოატაციის წესებს. შეასრულეს გარკვეული პრაქტიკული სამუშაოები. 2007 წლის 28 ივნისს ჩატარებული გამოცდებისა და შესრულებული ნამუშევრების საფუძველზე, საგამოცდო კომისიამ მათ მიანიჭა ტექნიკოსის კვალიფიკაცია. ახალგაზრდები მაღე ჩაებმებიან შრომით საქმიანობაში და ეს სპეციალობა მათი პროფესია იქნება.

ივლისის თვეში კი ის ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებიან, დასასვენებლად გაემგზავრნენ ბათუმში – „იმედის სახლში“, სადაც მასპინძლებებმა და თანმხლებმა პედაგოგებმა მათ საუკეთესო პირობები შეუქმნეს დასვენებისა და გართობისათვის. ბავშვები დადიოდნენ ზღვაზე, დაათავლიერეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გონიოს ციხე-სიმაგრე და სხვა საინტერესო ადგილები. აწყობდნენ საინტერესო სადამოებს და სპეციალურ შეჯიბრებებს. საბანაკო შეკრება ორ ეტაპად მოეწყო და ამ დროის მანძილზე დაახლოებით 50-მდე ბავშვმა დაისვენა.

თამუნა კეკელიძე – ანიმატორი: „ჩვენ ნაკადში ძირითადად უმცროსი ასაკის ბავშვები მოხვდნენ. ცენტრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მე და ლია გახარია ანიმატორებად წამოვსულიყავით. ჩვენ უფროსკლასელები ვართ. ბავშვთა ცენტრში მისი დაარსებიდან დავდივართ და ორივე მასწავლებლობაზე ვოცნებოთ. მიუხედავად იმისა, რომ აქ მყოფ ბავშვებს კარგად ვიცნობთ, ეს მაინც დიდი პასუხისმგებლობაა ჩვენთვის. ასევე, გაცნობიერებული გვაქვს ისიც, რომ ცენტრის დირექციამ ამით ჩვენ დიდი ნდობა გამოგვიცხადა. ეს ჩვენთვის ერთგვარი გამოწვევაა და პირველი გამოცდილებაც“.

სოფიკო სვანიძე – ბავშვთა ცენტრის მოსწავლე: „იმედის სახლში“ ადრეც დამისვენია და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ წელსაც მოვხვდი დამსვენებელთა სიაში. აქ ბევრი ისეთი ბავშვიცაა, ვისაც ზღვა ჯერ არ ენახა. ჩვენ ყველანი უსაზღვრო ბედნიერები და კმაყოფილები ვართ. მადლობა და

ლორედანას, ცენტრის პედაგოგებს და, რა თქმა უნდა, ჩვენს მასპინძლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ეს დღეები ჩვენთვის დაუგიშეარი ყოფილიყო“.

**ლევან ბეგიშვილი**

## სარჩევი

სულიერება

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ქადაგება

ინტერვიუ

ისტორიის ფურცლები

მკითხველები გვწერენ

ინფორმაცია

ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:

პეტრე იბერი და არეოპაგიტიკა

**რედაქცია:**

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ნუგზარ ბარდაველიძე

ნატო ბიგვავა

ვერიკო ნოზაძე

მერაბ ლალანიძე

ზაზა შათირიშვილი

ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4

ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853

დაარსდა 1994 წ.

მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2007

**პეტრე იბერი და არეოპაგიტიკა**  
**საგანგებო ჩანართი**

VI საუკუნის პირველ ნახევარში გახმაურებული ნაწარმოებები, რომლებიც არეოპაგიტული კრებულის („ჩორპუს რეოპაგიტიცუმ“) სახელითაა ცნობილი, გამოჩენისთანავე აქტიური მსჯელობის საგანი გახდა. საუკუნეების განმავლობაში ინტერესი ამ კრებულისა და მისი შესაძლო ავტორისადმი არ გამქრალა.

არეოპაგიტული კრებული შედგება ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ოთხი ტრაქტატისა და ათი წერილისაგან. ტრაქტატებია: „დმრთაებრივ სახელთა

შესახებ“, „ზეციური იერარქიის შესახებ“, „საეკლესიო იერარქიის შესახებ“ და „მისტიკური თეოლოგიის შესახებ“. I, II, III და IV წერილები ავტორმა უძღვნა გაიოზ ბერს, V – დოროთე მსახურს, VI – წმიდა სოპატრეს, VII – პოლიკარპე ეპისკოპოსს, VIII – დემოფილე ბერს, IX – ტიტე ეპისკოპოსს, X – იოანე თეოლოგს.

არეოპაგიტული შრომების არსებობა ცნობილი გახდა 532 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე. მართალია, ამ ტრაქტატებმა ადრეც იჩინეს თავი, სახელდობრ, სევეროს ანგიოქიელის წიგნებში, რომლებიც დაწერილია 518-528 წლებში და სადაც ციტირებულია ადგილები ზემოაღნიშნული თხზულებებიდან, მაგრამ პირველი გამოხმაურება და ლაპარაკი ამ შრომების ირგვლივ სწორედ კონსტანტინოპოლის კრებაზე დაიწყო, სადაც წარმოებდა გაცხარებული რელიგიური დისკუსია დამარცხებულ მონოფიზიტებსა და გამარჯვებულ დიოფიზიტებს ანუ ქალკედონიტებს შორის. მიუხედავად ქალკედონის კრების (451) გადაწყვეტილებისა, რომ ქრისტე არის ორბუნებოვანი, მონოფიზიტები კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას კონსტანტინოპოლის ზემოთაღნიშნულ კრებაზე, ქრისტეს ერთბუნებოვნების დასამტკიცებლად. ამ დისკუსიაში მონოფიზიტები სხვა ავტორიტეტებთან ერთად იშველიებდნენ ციტატებს უცნობი შრომებიდან, რომელთა ავტორად ისინი ასახელებდნენ დიონისე არეოპაგელს.

დიონისე არეოპაგელი, როგორც ეს „დიონისე არეოპაგელის ცხოვრებიდან“ არის ცნობილი, ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. იგი იყო ათენელი წარმართი, ათენის არეოპაგის ერთ-ერთი წევრი (აქედანაა მისი ზეწოდება – დიონისე არეოპაგელი). დიონისე პავლე მოციქულს მოუქცევია ქრისტიანობაზე და დაუმოწაფებია კიდეც. დიონისე იყო ათენის პირველი ეპისკოპოსი, რომელიც შემდგომ საუკუნეებში დიდი მოციქულებრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. „ამას ადგილსა განისჯებოდეს ათინელი ყოველთა თჯევე კნინოდებოთაცა ბრალთა და უშჯულოებათა, ვითარ-იგი ყოველსავე წარმოიტვან ანდრიტიონ პირველისა, ხოლო ფილოხოროს მეორესა და მესამესა წიგნსა შინა ათინელთასა... ხოლო მოიგენებენ წმიდისა დიონქსისთვის არეოპაგელისა დიონქსიოს ძუელი, ეპისკოპოსი კორინთელთა, და პოლიკარპოს ათინელთა მიმართსა შინა ეპისტოლესა“.

დიოფიზიტებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს დიონისე არეოპაგელის შრომები, რომლებიც თითქოს აღნიშნული დისკუსიიდან 400 წლის წინათ დაეწეროს პავლე მოციქულის მოწაფეს. დიოფიზიტური პარტიის წარმომადგენელი, მართლმორწმუნე ეკლესიის დამცველი მთავარეპისკოპოსი იპათოს ეფესელი გაკვირვებული აღნიშნავს პაექტობისას – ასეთი მნიშვნელოვანი ნაწერები რომ მართლაც ყოფილიყო აქამდე, ეს როგორ გამორჩებოდა ეკლესიის ისეთ მოღვაწებს, როგორიც იყვნენ წმ. კირილე და წმ. ათანასეო. წმ კირილე გარდაიცვალა 445 წელს და მან არაფერი იცოდა აღნიშნული თხზულებების არსებობის შესახებ.

მართალია, არეოპაგიტული შრომები გამოსულია მონოფიზიტთა წრიდან, მაგრამ ამ ნაწერებში გატარებული აზრები, რომლებიც თითქოს უპირისპირდებოდნენ ოფიციალური მართლმორწმუნე ეკლესიის შეხედულებებს ქვეყნიურ და ზეციურ სამყაროთა წყობისა და მათ ძალთა შესახებ, მოჩვენებითი იყო. მოციქულებრივი წარმოშობის წყალობით არეოპაგიტულმა თხზულებებმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და სწრაფად იწყო გავრცელება. მაგრამ ამავე დროს ადგილი ჰქონდა დაუგვებასაც, რომელსაც ეს შრომები იწვევდა, როგორც თავისი მართლმორწმუნეობით, ისე მათ ავტორად დიონისე არეოპაგელის მიჩნევით. პავლე მოციქულის მოწაფის ავტორიტეტის დაცვითა და ოფიციალური ეკლესიის ინტერესებისათვის აღნიშნული ნაწერების გამოყენების მიზნით ამ დაეჭვებას სასტიკად შეებრძოლნენ VI საუკუნის ეკლესიის

თვალსაჩინო მოდგაწები – იოანე სკვითოპოლელი, ეფრემ ანტიოქიელი, ლეონტი ბიზანტიელი და სხვა. სწორედ ესენი იყვნენ არეოპაგიტული კრებულის პირველი კომენტატორები, რომლებიც ამ თხზულებებს განიხილავდნენ მართლმორწმუნე დოგმატიზმის სარგებლობის პრინციპით. ასე რომ, მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს წიგნები მიეწერებოდა დიონისე არეოპაგელს.

VI საუკუნიდანვე იწყება არეოპაგიტულ თხზულებათა თარგმნაც მრავალ ენაზე. VII საუკუნეში გამოჩენილმა ღმრთისმეტყველმა, წმიდა მაქსიმე აღმსარებელმა ამ ნაწერებს გაუკეთა ვრცელი კომენტარები, რომლებშიც იცავდა მათ ორთოდოქსულობას.

როგორც უკვე ვთქვით, არეოპაგიტული შრომების გამოჩენისთანავე გაჩნდა ეჭვი მათი ავტორის შესახებ, ხოლო საუკუნეების შემდეგ ეს ეჭვი გამჟარდა და დადასტურდა კიდეც. იმ საკითხით საუკუნეების მანძილზე დაინტერესებული იყო მრავალი გამოჩენილი მოდგაწე. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმდე ბიზანტიელი ფილოსოფოსი: ფორიოსი (IX ს.), გიორგი ტრაპეზუნელი (XIV ს.) და თეოდორე ლაზელი (XV ს.). რენესანსის ეპოქაში იტალიელმა მეცნიერმა ლორენცო ვალამ (1415-1465 წ.წ.) და გამოჩენილმა ჰუმანისტმა მოაზროვნემ ერაზმ როტერდამელმა (1415-1536 წ.წ.) გამოთქვეს სერიოზული დაეჭვება, რომ არეოპაგიტული შრომები არ შეიძლება დაწერილიყო I საუკუნეში. ამავე თვალსაზრისხე იდგა რენესანსის ეპოქის გერმანელ და ფრანგ მოდგაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ამიტომ უწოდეს არეოპაგიტიკის ავტორს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.

ამრიგად, თუ არეოპაგიტიკის ავტორი არ არის დიონისე არეოპაგელი, დგება საკითხი – ვინ არის ავტორი ამ ნაწარმოებებისა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ფილოსოფიის ისტორიაში, ისე თეოლოგიურ აზროვნებაში. თავიდან ამ საკითხს მკვლევართა მეტი ნაწილი ასე აყენებდა: ამ თხზულებათა ავტორი შეცდომით იქნა მიღებული არეოპაგელად, რადგან მასაც დიონისე ერქვა, თუ იგი, უცნობი ავტორი, განზრახ ამოეფარა (თუ ამოაფარებ) მოციქულის მოწაფის ავტორიტეტს, რომ მის იდეებს მეტი გასაქანი და დამაჯერებლობა მოეპოვებინა. ასე რომ, ორივე შემთხვევაში მიჩნეული იყო, რომ საძიებელი ავტორი აუცილებლად დიონისეს სახელის მატარებელია. აზრთა სხვადასხვაობას ამ მეცნიერთა შორის მხოლოდ ის იწვევდა, თუ სახელდობრ რომელი და სადაური დიონისე ჩაეთვალათ, XVIII საუკუნის მოდგაწე იოანე-ფილიპე ბარატერიუსი ამტკიცებდა, რომ მოცემულ თხზულებათა ავტორი დიონისე ალექსანდრიელიაო. მაგრამ მისი არგუმენტი არ აღმოჩნდა საფუძვლიანი და ბარატერიუსის თეორია არ იქნა გაზიარებული. მეცნიერთა მეორე ნაწილი თუმცა არ მიიჩნევდა, რომ ავტორი აუცილებლად დიონისე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან მათი არგუმენტაციაც სუსტი იყო. მაგალითად, დოდველი ამტკიცებდა, რომ საძიებელი ავტორია გრიგოლ დიდი, რომის პაპი (VI ს), მ. ლექვიენი ავტორად მიიჩნევდა პეტრე ფულონს და ა. შ. არსებობდა, აგრეთვე, სხვა უამრავი მოსაზრება ამის თაობაზე. ყოველი მათგანი განსხვავებული გზით უდგება ამ საკითხს და საბოლოოდ ამ მოსაზრებათა სისტემა საოცრად მრავალფეროვან სურათს ქმნის, მაგალითად, ბაუმგარტენ-კრუზიუსმა დააკავშირეს არეოპაგეტური შრომები ანტიკურ მისტიკიზმთან, კერძოდ დიონისესთან (დვინისა და ბახუსის ღვთაება ძველ საბერძნეთში) და გამოთქვეს მოსაზრება, რომ, ამ ორი სახელის – დიონისესა და არეოპაგელის – შეერთება დემონსტრატიული გამოხატულება იყო ანტიკური მისტიკიზმისა (დიონისეს სახით) სინთეზისა. მაგრამ ეს თეორია არ იქნა გაზიარებული. XIX საუკუნეში ფრანგმა მკვლევარმა ფრეპელმა დაასკვნა, რომ დიონისე არეოპაგელი, რომელიც აგრეთვე იყო პარიზის პირველი ეპისკოპოსიც, არის ავტორი ამ სახელით ცნობილი შრომებისა. დიონისეს ისტორიის გადმოცემისას ის ეყრდნობოდა

ჰილდუინს. იმავე საუკუნეში გერმანელი ფრ. ჰიპლერი ამბობდა, რომ ავტორი არის IV საუკუნის მოღვაწე დიონისე ეგიპტელი სინოკურურიდან, რომელიც შემდგომში გააიგივეს დიონისე არეოპაგელთან. ამ თეორიას მხარს უჭერდნენ კ. მოლერი და ი. დრეზეკე. არეოპაგიტიკის ცნობილი მკვლევარი კრიუგერი ამოსავალ წერტილად სახელ „დიონისეს“ იღებს და ასკვნის, რომ ასეთი ავტორი V საუკუნის II ნახევრის მოღვაწე დიონისე სქოლასტიკოსია, პეტრე იბერისა და ისაიას მოწაფე.

რუსეთში XIX საუკუნემდე არეოპაგიტულ თხზულებათა ავტორის შესახებ ეჭვი არ არსებობდა, შემდგომ კი ამ საკითხით იქაც დაინტერესდნენ. რუსული სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობდა თეორიებსა და ჰიპოთეზებს, რომლებიც იქმნებოდნენ დასავლეთში ამ საკითხის ირგვლივ. ამასთან, მთელი რიგი რუსი თვალსაჩინო მეცნიერები დამოუკიდებლად იკვლევდნენ არეოპაგიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს და ქმნიდნენ ორიგინალურ თეორიებს (კ. სკორცოვი, ვ. ბოლოტოვი, ი. სმირნოვი, ა. ბრილიანტოვი, ი. პოპოვი და სხვ.). არეოპაგიტული საკითხების დამუშავებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ სკორცოვს. ეს იყო პირველი რუსი მკვლევარი, რომელმაც აშკარად უარყო დიონისე არეოპაგელის ავტორობა. მან დაწერა ვრცელი მონოგრაფია „“. ეს წიგნი წარმოადგენდა მნიშვნელოვან შენაძენს მაშინდელი არეოპაგიტიკისატვის. მკვლევარის უმთავრესი მიზანია დაამტკიცოს თეზისი რომ საძიებელი ავტორია III საუკუნის მოღვაწე დიონისე ალექსანდრიელი. სკორცოვი ვითარებას წარმოადგენს ისე, თითქოს არეოპაგიტული კრებულის ავტორი თავის შრომებში ებრძოდა II-III საუკუნეებში გავრცელებულ გნოსტიკურ მიმდინარეობას. სკორცოვს კრიტიკულად შეხვდნენ რუსეთში. მას გამოეხმაურა ი. სმირნოვი თავისი რეცენზიით „“. სმირნოვი ჩამოთვლის მრავალ მიზეზს, რის გამოც არ შეიძლებოდა I და III საუკუნის ნაწარმოებები ყოფილიყო არეოპაგიტული თხზულება. იგი მიიჩნევს, რომ ავტორი უნდა იყოს ვინმე V საუკუნის მოღვაწე ყოფილი წარმართი-ნეოპლატონიკოსი, რომელიც მოექცა ქრისტიანობაზე და თავის ნაწარმოებში ცდილობს მოარგოს ქრისტიანული სარწმუნოება და ნეოპლატონური იდეები.

ჯ. პარკერი ამტკიცებს, რომ ხუთწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ დარწმუნდა დიონისე არეოპაგელის ავტორობაში. ვ. ბოლოტოვი მის წინააღმდეგ წერს გამოკვლევას „“, რომელიც გამოაქვეყნა და წინასიტყვაობა დაურთო ა. ბრილიანტოვმა. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ თხზულება დაიწერა არა უადრეს 476 წლისა სირიაში. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში გამოდის „“, რომელშიც მოთავსებულია ი. პოპოვის სტატია „“, მასში თავმოყრილია მთელი მაშინდელი ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით.


ი. შტიგლმაირმა წამოაყენა მოსაზრება, რომ არეოპაგიტული თხზულების ავტორია სევეროს ანტიოქიელი, VI საუკუნის I ნახევრის ცნობილი მონოფიზიტი მოღვაწე, ავტორი სირიულ ენაზე შემონახული ეზზეგეტიკური და პოლემიკური ნაწარმოებებისა. ეს სევეროსი ბოლოს ბერად აღიკვეთა პეტრე იბერის მონასტერში. შტიგლმაირის მოსაზრება არ იქნა გაზიარებული ი. ლებონისა და ო. ბარდენპევერის გამოსვლების შემდეგ.

XIX საუკუნის ბოლოს დასავლეთიც დიდად იყო დაინტერესებული არეოპიგიტიკის საკითხებით. ამ მხრივ დიდი შრომა გასწია ჰუგო კოხმა. მან თხზულებების დრმა ანალიზით დაამტკიცა, რომ ისინი V საუკუნის ფილოსოფოსის პროკლეს ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. შტიგლმაირი კი, როდესაც იკველვდა პროკლეს მოძღვრებაში სიკეთისა და ბოროტების

პრობლემას და ადარებდა მას არეოპაგიტული შრომის იდეებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ შრომების ავტორი უთუოდ იცნობდა პროკლეს ფილოსოფიას, განსაკუთრებით მის კომენტარებს პლატონის „ალკიბიადეს“ I წიგნზე, რომელიც დაწერილია 462 წელს. როგორც ივ. ლოლაშვილი გვამცნობს: 1900 წელს გერმანელმა მეცნიერმა პუგო კოხმა განამტკიცა გამოთქმული მოსაზრება, რომ არეოპაგიტული წიგნები დაწერილია პროკლე დიადოხოსის ნეოპლატონური ფილოსოფიის საფუძველზე. კოხი წერს: „შეიძლება საქმაოდ მრავალი მაგალითის მითითება (იმის ცხადსაყოფად), რომ ფსევდო-დიონისეს პრიკლე გაუმეორებია სიტყვა-სიტყვით და პროკლესებრი ელფერით ხალისიანად დაუპირისპირებია ურთიერთისადმი საერთო ნეოპლატონური იდეები“.

მაშ ასე, საბოლოოდ დამტკიცდა, რომ დიონისე არეოპაგელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არეპაგიტული შრომების ავტორი. ამაში გვარწმუნებს XIX საუკუნის ბოლოსათვის მეცნიერებაში დაგროვილი უამრავი საბუთი, რომლებიც უარყოფენ დიონისეს ავტორობას.

ასეთი იყო საერთო სურათი არეოპაგიტიკის საკითხთან დაკავშირებით XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თუმცა მაინც გაირკვა საკითხის საერთო ლოკალური მხარე. როგორც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე წერს: „დღემდე მეცნიერებამ დადგინა, რომ 1) არეოპაგიტული წიგნები დაწერილია V საუკუნის მეორე ნახევარში; 2) მათ აღიარება ჰპოვეს VI საუკუნის პირველ ნახევარში (იერუსალიმის კრებაზე 531 წ.); 3) დასახელებული წიგნები წარმოიშვა სირიაში, ყველა მონაცემის მიხედვით, ქ. დაზის რაიონში (შტიგლმაირი); 4) წიგნების ავტორი, უნდა ვიფიქროთ, ეპისკოპოსი იყო. ეს არის ყველაფერი, რაც დღესდღეობით მოეპოვება მეცნიერებას ამ დიდი ადამიანის ვინაობის საკითხზე, რომელიც დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმის ქვეშ იმალება“.

შალვა ნუცუბიძე 1942 წელს ბეჭდავს გამოკვლევას რუსულ ენაზე „ 

ახლა კი საკმაოდ კრილად განვიხილავთ ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიას, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ჩვენს თემას.

შალვა ნუცუბიძე წერს: „ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ ერთი რამ – ფსევდო-დიონისე (არეოპაგელის) იდეები ეკლესიას უსიტყვოდ არ შეუწყისარებია და მათი აპოსტოლური ავტორიტეტი რომ არა, ეს იდეებიც გაიზიარებდნენ იმათ ბედს, ვინც მათი ქადაგებისათვის შემდგომში დევნისა და გმობის საგანი გახდა“.

ამგვარად, საჭირო გახდა მოციქულებრივი ავტორიტეტი, რათა შრომებს დაემკვიდრებით დირსეული აღგილი VI საუკუნის ქრისტოლოგიაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ნამდვილი ავტორი არ იყო ავტორიტეტული პიროვნება. დიოფიზიტების წინააღმდეგ მონოფიზიტებს მათი თანამედროვე ავტორიტეტი არანაირად არ გამოაღებოდათ, საჭირო იყო თავიანთი იდეების

დაკავშირება ეკლესიის დამაარსებლის – ქრისტეს, უშუალო მოწაფის სახელთან. დაცუბრუნდეთ ნუცუბიძის თეორიას.

ნუცუბიძე განიხილავს არეოპაგიტული თხზულებების დაწერის თარიღს, ყველა შესაძლო ავტორს და ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიაში“ შემოთავაზებულ სიყალბეს ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერთან დაკავშირებით. ასევე, ზაქარია რიტორის ცნობას იმის შესახებ, „რომ ისაიას, ენიოს დაზელისა და მაიუმელი ეპისკოპოსის პეტრე იბერის ქრისტოლოგიურ წრეში პლატონის, არისტოტელესა და პლოტინის გამოყენების წინამავალი ცდების ნაკლოვანებათა კრიტიკული განხილვა ხდებოდა“.

ნუცუბიძე ორ გზას გვთავაზობს ამ პრობლემის გადასაჭრელად: 1) იმ პერიოდში მოღვაწე ყველა ფიზიკური პირის განხილვას, როგორც შესაძლო ავტორისას, 2) ზაქარია რიტორი თხზულებაში უცნაურობების გარკვევას.

პირველი გზა: მთელი ეს გარემო 5 კაცისაგან შედგება: სამი ფილოსოფოსია და ორი ქრისტოლოგი. პროკოფი რაზელი, ენიოს დაზელი და ზაქარია რიტორი – ამათგან არც ერთი არ ყოფილა პროკლეს იდეების მიმდევარი. პროკოფი რაზელი მრავალმხრივი გავლენების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, დაწყებული ფილონ ალექსანდრიულიდან, კაბადოკიელი მამებით დამთავრებული. ზაქარია გამოირიცხება თავისივე განცხადებათა საფუძველზე. გარდა ამისა, მას და ენიოსს უფრო მეტად პლატონის იდეების მისადაგება აინტერესებდათ ქრისტოლოგიისათვის. იოანე ფილოპონი ალექსანდრიაში და ლეონტი ბიზანტიელი – ამ ორივე ქრისტოლოგს გამორიცხავს შ. ნუცუბიძე. „ქრისტოლოგიის გზით ანტიკური ფილოსოფიის შინაგანი საზრისის გახსნა, რაც ქრისტიანული კულტურის ბაზაზე ანტიკურობის ხაზის გაგრძელებას ნიშნავს – ასეთია იმ იდეური გარემოს არსი, რომლიდანაც ამოვარდნილია პროკოფი დაზელი, მაგრამ რომელსაც მაინც ნაწილობრივ ემყარებოდა ორი დანარჩენი დაზელის – ენიოსისა და თვითონ ზაქარია რიტორის აზროვნება. განსაკუთრებით ეს ისაია – პეტრე – ენიოსის გარემოზე ითქმის. V საუკუნეში რომ ფიზიკურად არსებულიყო არეოპაგიტულ წიგნთა ავტორი, იგი ამ ჯგუფის მეოთხე წევრი უნდა ყოფილიყო, რომლის ურთიერთობებზეც მოგვითხრობს ზაქარია რიტორი. მაგრამ ეს ავტორი არ არსებობდა, როგორც ამ „გონიო ურთიერთობის“ მეოთხე წევრი, რადგან იგი ერთ-ერთი სამთაგანი იყო. ისაია და ენიოსი ამ როლისათვის შეუფერებელნი იყვნენ, რჩებოდა მხოლოდ „მეორე მოსე“ და „მეორე პავლე მოციქული“ – პეტრე იბერი“.

პეტრე იბერი – ერისკაცობაში მურვანი (სირიული წყაროებით ნაბარნუგი), ივერიელი მეფის ბუზმირის შვილი, ბაკურ დიდის შვილი შვილი იყო. დაიბადა 411 წელს. 12 წლისა ბიზანტიაში თეოდოსი II-ის კარზე მძღვლად წარგზვნებს, იზრდებოდა დედოფალ ევდოკიას ზედამხედველობით. სასახლეში მას ბრწყინვალე განათლება მიუღია და თავისი ნიჭიერებით განცვიფრებაში მოუყვანია მთელი სასახლის კარი. იერუსალიმში ყოფნის დროს აუთვისებია ასურული ენა და მწერლობა. შემონახული ცნობების მიხედვით იგი ბიზანტიაში უსმენდა მაშინდელ ფილოსოფოსებს, სავარაუდოა, მათ შორის, პროკლესაც. იგი დანიშნული იყო საიმპერატორო კავალერიის უფროსად, მაგრამ ამქვეყნიური დიდება მას არ იზიდავდა. ბავშვობიდანვე გულჩათხობილობით, სევდიანობითა და განმარტოებისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. იგი გაიპარა სასახლიდან და პალესტინაში, იერუსალიმში რამდენიმე ქართველთან ერთად გაიქცა.

სანამ მეორე გზას განვიხილავთ, საჭიროა პეტრე იბერის ბიოგრაფიული ცნობების შესახებ ნუცუბიძის მოსაზრებას გავეცნოთ. იგი მიიჩნევს, რომ მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ერთი ლირებულების არ არის. დიდი ლირებულებისა იყო ზაქარია რიტორის ამჟამად დაკარგული ბიოგრაფია. არსებობს ანონიმური სირიული ბიოგრაფია და იოანე მაიუმელის

„პლეროფორიები“, რომელთაც ერთნაირი დირებულებები გააჩნიათ. ნუცუბიძის აზრით, არ შეიძლება ისინი უკრიტიკოდ გამოვიყენოთ.

პეტრე იბერის მოღვაწეობის ხანა დაემთხვა მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა სასტიკ ბრძოლას. ამ საკითხისადმი პეტრე იბერის დამოკიდებულებაზე მნელია საუბარი. მის შესახებ ცნობებს მისი მოწაფეები და ბიოგრაფები გვაწვდიან, რომლებიც მონოფიზიტები არიან. ამიტომ არ არის გამორიცხული ტენდენციურობა. „ოფიციალური ეკლესიის მიერ ფსევდოდიონისესა და პეტრე იბერის თავის კაცად ცნობის ფაქტი პრინციპულად იმავე ლირებულებისაა, რაც მონოფიზიტური პარტიის მიერ მისი თავის კაცად ცნობა. არც მეტი, არც ნაკლები“.

ნუცუბიძე-პონიგმანი იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ პეტრეს ამ საკითხში შემრიგებლური პოზიცია უკავია. „მისი ნეიტრალური პოზიციით უნდა აიხსნებოდეს (პეტრეს ავტორიტეტისა და დიდ გავლენასთან ერთად) ის გარემოება, რომ ბიზანტიის კეისარმა ზენონმა თავისი „ჰენოტიკონის“ – მებრძოლ მხარეთა მორიგების ამ პროექტის – განხორციელების მიზნით დახმარებისათვის მიმართა პეტრე იბერიელს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პეტრეს პოზიცია მონოფიზიტებისაკენ მაინც უფრო იხრება“.

ამრიგად, ნუცუბიძე ზაქარია რიტორს დიდ ავტორიტეტად მიიჩნევს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის ცნობას, მოცემულს „საეკლესიო ისტორიაში“: იმ დიონისე არეოპაგელმა, რომელმაც წარმართობის უმეცრებისა და წყვდიადიდან ღმრთის შემეცნების განსაკუთრებულ შუქს მიაღწია ჩვენი მოძღვრის პავლეს მეშვეობით, დაწერა წიგნი, რომელიც მან წმინდა სამების დკონიურ სახელებს მიუძღვნა“.

ცნობილია, რომ თავის წრეში პეტრე იბერს „მეორე პავლე მოციქულს“ უწოდებდნენ. „ამგვარად, ფაქტად რჩება, რომ ზაქარია რიტორმა იცის, I საუკუნეში მცხოვრები დიონისე რომ არას გზით არ არის არეოპაგიტულ წიგნთა ავტორი და მიუხედავად ამისა, გვაჩვენებს თავს, თითქოს მისი ავტორობა სჯერა“.

ნუცუბიძის აზრით, ზაქარია რიტორი ფალსიფიკაციას მიმართავს მხოლოდ იმ მიზნით, რათა მიახვედროს მკითხველი, რომ პეტრე იბერი წერდა. „ამგვარად, ზაქარია რიტორმა ერთ შემთხვევაში დაუშვა არარსებული ადამიანის არსებობა და მას მიაწერა რადაცა წიგნის დაწერა, რომელიც მას პეტრე იბერის თხულებად გამოუცხადებია. სხვა შემთხვევაში კი იგი, პირიქით მის დროს და მისთვის საგანგებოდ საინტერესო საკითხებზე დაწერილ წიგნებს, რომელთა ავტორის ვინაობაც მან ამის გამო შეუძლებელია არ იცოდეს, მიაწერს ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მცხოვრებ კაცს“.

ნუცუბიძეს აინტერესებს სამი საკითხის გარკვევა: პეტრე იბერი წარმოადგენდა თუ არა ისეთ მოღვაწეს, რომელსაც შეეძლო ასეთი ნაწარმოებების დაწერა, ემთხვევა თუ არა პეტრე იბერის მოსაზრებები ფსევდოდიონისესას და ხომ არ არის შემონახული რაიმე ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც დაამტკიცებდნენ პეტრე იბერისა და არეოპაგიტიკის კავშირს. ნუცუბიძე განიხილავს ამ საკითხებს და სამივეზე დადებით პასუხს სცემს. აი, რას წერს იგი: „ზაქარია რიტორი პეტრე იბერს ახასიათებს, როგორც მთელს დედამიწის ზურგზე „ფრიად საკვირველად სახელგანთქმულ კაცს“. ისტორიკოსი ევაგრე გვატყობინებს: „პეტრე იბერმა, დაზის ყოფილმა წინამდგომმა (წინამდგვარმა), ბევრი ლაპარაკი გამოიწვია“. ანონიმი ბიოგრაფი მრავალგზის აქებს პეტრეს, ადარებს მას პავლე მოციქულს და, განსაკუთრებით, მოსე წინასწარმეტყველს. ამასთან მისი სტილი ერთი და იგივეა – „მეორე პავლე მოციქული“, „მეორე მოსე“.

შალვა ნუცუბიძემ კარგად იცოდა, რომ მის მოსაზრებას უკრიტიკოდ არ მიიღებდნენ, ამიტომ ითვალისწინებს ორ მომენტს: 1) ხომ ვერ იქნებოდა პეტრეს

მოსაზრებებისა და არეოპაგიტული თხზულებების დამთხვევა იმით განპირობებული, რომ პეტრე და მისი წრე იცნობდნენ ამ თხზულებებს და 2) ხომ არ უშლის ხელს პეტრე იძერის არეოპაგიტიკის ავტორად გამოცხადებას, მათი მიმართება მონოფიზიტებთან და დიოფიზიტებთან? ნუცუბიძის აზრით, პირველი ცრუ პრობლემაა, რადგან პეტრე იძერი ამ თხზულებებს იცნობდა, როგორც ავტორი და არა როგორც მკითხველი, რადგან ისინი ცნობილი გახდნენ მხოლოდ პეტრე იძერის სიკვდილის (448-451 წ. წ.) შემდეგ. მეორე საკითხთან დაკავშირებით კი ნუცუბიძე თვლის, რომ ამ მხრივ მათი ბედი ძირითადად ერთნაირია. არც ერთთან ქრისტეს ბუნების საკითხი პირდაპირ არ არის დასმული. ისტორიული ფაქტია, რომ ორივეს გარკვეული დროის მანძილზე მონოფიზიტებად თვლიდნენ. შემდეგ კი სცადეს ორივეს სახელის გამოყენება გაბატონებული ეკლესიის ინტერესების დასაცავად.

შალვა ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ XI-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში მოგვეპოვება ამის დამადასტურებელი ცნობები: იოანე პეტრიწონან, ჩახრუხაძესთან და რუსთაველთან. საერთოდაც მიაჩნდა, რომ „საქართველოში ადრევე დამკვიდრდა, ასე ვთქვათ არალეგალური ტრადიცია არეოპაგიტულ თხზულებათა ავტორად პეტრე იძერიელის მიჩნევისა, მაგრამ მონოფიზიტი, „ერეტიკოსი“ პეტრეს ხსენებას ყველა გაურბოდა დიოფიზიტური ეკლესიის მიერ მისი სასტიკი დევნის გამო“.

იოანე პეტრიწი მიუთითებს, რომ ქართულ ენაზე მანამდეც არსებობდა პროკლეს თხზულების „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“-ს თარგმანი. ის აგრეთვე ლაპარაკობს იმ პირების შესახებ, რომელსაც ამ თხზულებამ მოუპოვა დიდება სხვაგან კი პეტრიწი ამბობს, რომ პროკლეს წიგნმა დიდება მოუტანა დიონისეს. ეს ძალიან საინტერესოა, რომ XII საუკუნის დასაწყისში პეტრიწმა იცოდა პროკლესთან დიონისეს დამოკიდებულების ამბავი, მაშინ როცა დასავლეთის მეცნიერება ამ დასკვნამდე XIX საუკუნის ბოლოს მივიდა. აქედან, პეტრიწს უნდა სცოდნოდა ფსევდო-დიონისეს საიდუმლოება და მისი მოღვაწეობის თარიღდა I კი არა V საუკუნე უნდა მიეჩნია, რადგანაც თავის წიგნს იწყებს პროკლეს ბიოგრაფიით და კარგად იცის როდის მოღვაწეობდა იგი. პეტრიწი არ მოდის ზაქარია რიტორთან წინააღმდეგობაში და დიონისეზე ადრინდელ მოღვაწედ პროკლეს მიიჩნევს. იგი მიდის აბსურდამდე, რადგანაც იცის, რომ პროკლე V საუკუნის მოღვაწე იყო, ასეივე იცის, რომ V საუკუნეში არავითარი დიონისე არ ყოფილა და მაინც პროკლე დიონისეზე მაღლა დააყენა. ეს იყო პეტრიწისათვის კარგად ნაცნობი ლოგიკური ხერხი, რომელიც ნათელს ხდიდა ფსევდო-დიონისეს საიდუმლოს და თანაც ნათქვამი იყო მთავარი, რომ ამ წიგნმა დიდება მოუტანა თავის ავტორს. „ამრიგად, დიონისეს ადგილზე, რომლის განმმარტებლად მიჩნევის აზრს პეტრიწი უარყოფს, დაყენებულია ადამიანი, რომელმაც მოგვცა ასეთი განმარტება – თარგმანი ქართულ ენაზე. ზაქარია რიტორის თხზულებიდან ჩვენ ვიცნობთ „საოცრად სახელგანთქმულ“ კაცს, რომელიც პროკლეს თანამედროვე იყო და, როგორც ჩანს, პირადად იცნობდა მას. ეს იყო მწერალი, რომლის თხზულებები სადღაც გაქრა. ძნელი არ არის იმის მიხედვა, რომ ეს კაცი პეტრე იძერი (ქართველი) იყო“.

ეს რაც შეეხებოდა შ. ნუცუბიძეს.

1949 წელს ლ. მელიქესეთ-ბეგმა მსოფლიოს ბიზანტიისტებს გააცნო „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოების“ შინაარსი და თანაც მათ მოუწოდა: „ბიზანტიისტების ამოცანაა – გამოეხმაურონ პროფ. შ. ნუცუბიძის მონოგრაფიას და გამოთქვან მოსაზრებანი მის ძირითად დებულებათა მიღება-მიუღებლობასთან დაკავშირებით“.

ამ მოწოდებამ შედეგი გამოიღო და 1952 წელს ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნესტ ჰონიგმანმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „პეტრე იძერი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის

თხზულებანი“. მას თავისი შრომის გამოქვეყნების შემდეგ შეუტყვია ნუცუბიძის თეორიის შესახებ ლ. მელიქსეთ-ბეგის რეცენზიიდან.

პონიგმანი ნუცუბიძისაგან განსხვავებით ეხება იეროთეოსის საკითხეს. აი, რას წერს ს. ენუქიშვილი პონიგმანთან დაკავშირებით: „პონიგმანმა თავის გამოკვლევაში ძირულებიანად შეისწავლა იეროთეოსის საკითხი. ფსევდო-არეოპაგიტული წიგნების ავტორი ხშირად ახსენებს იეროთეოს, რომელსაც ის ეძახის თავის „დმრთაებრივ მასწავლებელს“, ხელმძღვანელს... სიტყვა „იეროთეოსი“ არის ფსევდო-დიონისებს წიგნების ავტორის მიერ შეთხული სახელი, ფსევდონიმი, რომელსაც არ იცნობს არც ერთი ხალხის მანამდელი ონომასტიკონი. ეს სახელი ფსევდონიმია იოანე ლაზისა ანუ იოანე ევნუქისა, რომელიც იყო პეტრე იბერიელის აღმზრდელი, იდეური ხელმძღვანელი და მეგზური“.

პროფ. პონიგმანმა უდიდესი მასალის შესწავლის შედეგად მიაკვლია საბუთს, რომელიც დოკუმენტურად ამტკიცებს შ. ნუცუბიძის თეზისს პეტრე იბერის ავტორობის შესახებ. იოანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში“ გარკვევით არის აღნიშნული, რომ იოანე ლაზი გარდაიცვალა 4 ოქტომბერს... პონიგმანმა მიაგნო დიდი მნიშვნელობის ფაქტს – რომ სირიულ მარტიროლოგსა და ერთ-ერთ სირიულ კალენდარში, ე.წ. „რაბანა სლიბაში“ (დაახლ. 1300 წ.), 1 დეკემბერი გამოცხადებულია პეტრე იბერიელის გარდაცვალების ზუსტ თარიღად და იქვე მითითებულია, რომ 4 ოქტომბერი არის მოსახსენებელი დღე იეროთეოსისა, რომელიც წოდებულია „დიდი დიონისეს მასწავლებლად“. ამგვარად, ერთი მხრით, იეროთეოსის მოსახსენებელი დღეა 4 ოქტომბერი, რომელიც იოანე ლაზის გარდაცვალების თარიღია, მეორე მხრით, იეროთეოსი დიონისე არეოპაგელის მასწავლებელია, ხოლო იოანე ლაზი პეტრე იბერიელის აღმზრდელი და წინამდოღია. მაშასადამე, იეროთეოსი არის იოანე ლაზი, ხოლო დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერიელია“.

პონიგმანი უურადღებას ამახვილებს არეოპაგეტული თხზულებების დიალექტზე. იგი წერს, რომ „...არეოპაგიტული შრომები დაწერილია ისეთი „ატიკურით“ (ატიკური დიალექტით), რომელიც, უდავოდ, ხელოვნურია, მაგრამ მაინც მოწმობს, რომ ავტორს უურადღებით შეუსწავლია დიალექტი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნისათვის უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო... მაგრამ დაზა ამ ეპოქაში მაღალი ელინური კულტურის ერთ-ერთი კერა იყო. იქ „ატიკელობდნენ“ იმდენად, რომ თვით ათენელებიც მოდიოდნენ ხოლმე აქ პლატონის ენის შესასწავლად. მაშასადამე, პეტრე იბერისა და იოანე ევნუქს არ დასჭირდებოდათ ადგილგადანაცვლება იმისათვის, რომ თავიანთი ნაწარმოებები ატიკური ენით დაეწერათ. დაზის სოფისტები და ფილოსოფოსები მათვის უსათუოდ ხელმისაწვდომს გახდიდნენ პროკლესა და ყველა დიდი ბერძენი მოაზროვნის თხზულებებს“.

აღსანიშნავია, რომ 1952 წელს, როდესაც გამოქვეყნდა პონიგმანის გამოკვლევა პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისეს იდენტურობის შესახებ, იგაღიერება მკვლევარმა ვირჯილიო კორბომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანები ძეგლები, მათ შორის, პეტრე იბერის მონასტერი იორდანეს უდაბნოში – „ლაზთა მონასტერი“.

ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიას დიდი გამოხმაურება ხვდა მსოფლიო მეცნიერებაში. მასზე წერდნენ როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში. დასავლეთის სპეციალური ავტორიტეტული უურნალები „ა ნოუველლე ჩლიო“ და „ეზანტინისცე ძეიტსცრიფტ“ და მეცნიერები ფ. დელგარი, ე. ივანკა, რ. როკი, პ. კეკელიძე და ა. შ. განიხილავდნენ ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიას. ამ პიპოთეზას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუწნდა. საქართველოში პროფესორი კეკელიძე არ ეთანხმებოდა მას და წერდა: “ე. პონიგმანის მოსაზრებანი მიზანს ვერ აღწევენ... ისინი რიგ შემთხვევებში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან... ავტორმა

ვერ მოგვცა ისეთი სურათი პეტრე ქართველისა, რომლიდანაც ჩანდეს, რომ უკანასკნელი შესძლებდა დაეწერა დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებები. ერთი სიტყვით, საძიებელი საკითხის გარშემო არსებულ პიპოთებებს მიემატა კიდევ ერთი პიპოთება პროფესორ ე. პონიგმანისა, საკითხი კი იმავე ადგილას რჩება, რომელზედაც ის ამდენ ხანს იდგა“. კეკელიძის თვალსაზრისზე იდგა ქართველი მეცნიერი ივ. ლოლაშვილიც, რომელმაც რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ფსევდო-დიონისეს საკითხს. ერთ-ერთი მათგანია „ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში“.

ფაქტია, რომ არეოპაგეტური შრომები უდიდესი დირექტორების ნაწარმოებებია (ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი). ჩვენი დროის მეცნიერი, ფილოსოფოსი მიხეილ მახარაძე არეოპაგეტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით წერს: „ნეოპლატონიზმის „გადარჩენის“ ძირითადი გზა იყო ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შეგუება. ნეოპლატონიზმის (და მისი სახით ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის) ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან შეგუების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ეწ. არეოპაგიტული მოძღვრება, რომელიც იყო „ქრისტიანობის მისტიკური გადმოცემა ნეოპლატონიზმის ფორმით (ვ. ვინდელბანდი), „ნეოპლატონიზმის ქრისტიანული გადამუშავება“ (შ. ნუცუბიძე)... არეოპაგიტიკის ფილოსოფიური ნაწილის ანალიზი საფუძველს იძლევა, რომ ეს მოძღვრება შუა საუკუნეების პროგრესულ მსოფლმხედველობად იქნეს მიჩნეული“.

ამრიგად, არეოპაგიტიკის პრობლემას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს თხზულებანი ძალიან დიდი მნიშვნელობისაა, როგორც ფილოსოფიური, ისე თეოლოგიური თვალსაზრისით. მათში ისეთი საკითხებია განხილული: პირველსაწყისის, სიკეთისა და ბოროტების, ამქვეყნიურისა და ლმრთაებრივის მიმართების და ა. შ., რომლებიც მარადიული ძიების საქმეა და ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი მეცნიერებასა და ფილოსოფიაში (თუმცა, საეჭვოა, რომ ისინი თეოლოგიის დაუხმარებლად საერთოდ ექვემდებარებოდნენ მეცნიერული გზით გადაჭრას). აქედან გამომდინარე, არეოპაგიტული თხზულებანი კიდევ მრავალგზის შესწავლას მოითხოვს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, არეოპაგიტული კრებული თავისი დროის უდიდეს სენსაციას წარმოადგენდა და მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომდროინდელ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ აზროვნებაზე, ასევე, ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია თავისი დროის დიდი სენსაცია იყო და მას შემდეგ ვინც არ უნდა შეხებოდა და შემდგომშიც ვინც არ უნდა შეეხოს არეოპაგიტიკის საკითხს, გვერდს ვერ აუვლის პეტრე იბერიის სახელს.